# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 9 იანვარი. 2019 წ. №4 (8670) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


SOS! უნდობლობა ხალხში!..

# უსამართლო სასამართლო, რომელიც ვერა და ვერ მოვიშორეთ

③



## კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის 2019 წლის საშობაო ეპისტოლე

თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარიხოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?!

④

### სახალხო მკურნალი

# ფასდაუდებელი ღვაწლი



აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** 9 იანვარს 75 წელი შეუსრულდებოდა. დაუჯერებელიც კია, რომ ეს ადამიანი დღეს ჩვენს გვერდით აღარაა.

მან წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო სამედიცინო სფეროს, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში.

ფრიდონ თოდუა დაიბადა 1944 წლის 9 იანვარს ქ. ზუგდიდში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობა დაიწყო მოსკოვში, ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტში, სადაც ის 25 წლის განმავლობაში ქირურგიის უდიდესი კორიფეების გვერდით მუშაობდა. აქ ბატონი ფრიდონი ხელმძღვანელობდა იმ განყოფილებას, სადაც პირველად დაიდგა კომპიუტერული ტომოგრაფი. 1973 წელს მან დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1987 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1990 წელს, როცა ჩვენს ქვეყანას ძალიან უჭირდა, ფრიდონ თოდუა დაბრუნდა სამშობლოში. მან დატოვა ბრწყინვალე კარიერა, შესანიშნავი კლინიკა, დიდი პერსპექტივები და ჩამოვიდა იმისთვის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ახალი ცხოვრების დაწყებაში მიეღო მონაწილეობა. თავისი ცოდნა, გამოცდილება, შრომა და ენერგია საკუთარი ქვეყნის წინსვლისთვის მიეძღვნა.

1991 წელს, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მან დააარსა კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლსაც იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა და იყო მისი უცვლელი დირექტორი. აღნიშნული ინსტიტუტი დღეს აღიარებულია ქვეყნის სამედიცინო ცენტრთა შორის უპირობო ლიდერად. კლინიკა უპრეცედენტოა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მუდმივად განახლებადი უახლესი სამედიცინო აღჭურვილობით.

ფრიდონ თოდუამ უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების სრულყოფის საქმეში, რისი ნათელი მაგალითიცაა თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი ბოლო თაობის – მაღალი ენერგიის სხივური ამაჩქარებლის დანადგარის ეფექტური გამოყენება ინსტიტუტში.

ფრიდონ თოდუას სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის ნამდვილი აღიარებაა ის, რომ იგი 1997 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2001 წელს – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად.

2009 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მედიცინის განყოფილების, ხოლო 2013 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიის და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად.

მკურნალი ექიმის, ადმინისტრატორის და მეცნიერის საქმიანობასთან ერთად ბატონი ფრიდონი აქტიური საზოგადო მოღვაწეც იყო. 2008-2012 წლებში იგი გახლდათ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი. ფასდაუდებელია მისი მოღვაწეობა, როგორც საქართველოს ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტისა, თანამოაზრე აკადემიკოსებთან ერთად მან უდიდესი როლი შეასრულა აკადემიური მეცნიერების განვითარებაში საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, რაც მხოფლიოს სხვადასხვა აკადემიის ჯილდოებით აღინიშნა: მას მიღებული აქვს აკად. ა. ვ. ვიშნევსკის სახელობის პრემია, არის სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობითი პრემია და ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის დიდი ოქროს მედალი, აკად. გ. მუხაძის მედალი, ივ. ჯავახიშვილის ოქროს მედალი. არჩეულია ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსად, გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, რუსეთის სამედიცინო-ტექნიკური მეცნიერებების აკადემიის ნამდვილ წევრად, მიღებული აქვს ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. იყო რუსეთის სამედიცინო ტექნიკური მეცნიერების აკადემიის ნამდვილი წევრი, მრავალი ასოციაციის, საზოგადოების, ფედერაციის და სხვადასხვა საბჭოს წევრი, მათ შორის, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი და ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. იგი იყო ჟურნალ „რენდგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მოამბის“ და „საქართველოს სამედიცინო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მიერ შესრულებულია 600-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და გამოცემულია 10 მონოგრაფია. მიღებული აქვს 5 საავტორო და 15 საპატენტო მოწმობა გამოგონებაზე.

ფასდაუდებელია ფრიდონ თოდუას თავდადებული მოღვაწეობა ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით არის შესრულებული მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მის მიერ აღზრდილი და დახელოვნებული ათეულობით სპეციალისტი და მეცნიერი სათავეში უდგანან კვლევით დაწესებულებებს, ხელმძღვანელობენ კლინიკებსა და საუნივერსიტეტო კათედრებს.

დღეს ფრიდონ თოდუა გვაკლია ყველას, როგორც მის მეგობრებს, თანამოქალაქეებს, ისე ქვეყნის ყველა გულშემატკივარ ადამიანს.

**გიორგი კვესიტაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.**

იხ. 6-7 გვ.

# სამუშაო შეხვედრა კახეთში

**გუშინ კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა სამუშაო შეხვედრა გამართა.**

არჩევნების შემდეგ ეს პირველი მასშტაბური შეხვედრაა, სადაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები ერთობლივად განიხილავდნენ სამომავლო გეგმებს და იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა, მათივე თქმით, მოკლე ვადებში აუცილებელია.

# ეს ჩვეულებრივი სემინარია, რომელზეც მე არავის მივუწვევივარ



**ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გედევან ფოფხაძემ მმართველი გუნდის სამუშაო შეხვედრასთან დაკავშირებით განაცხადა, რომელიც კაჭრეთში ჩატარდა.**

როგორც ფოფხაძემ „ტვ პირველის“ ეთერში აღნიშნა, კაჭრეთში არის სამუშაო სემინარი და არანაირი განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა ამას არ აქვს.

**„არ მგონია, რომ ეს სემინარი იყოს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი. მე არ ვიცი, რა შემადგენლობით იმყოფებიან კაჭრეთში და არ მგონია, რომ მაინცდამაინც პოლიტიკურ საკითხებთან იყოს დაკავშირებული. სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ყველას გვაქვს ჩვენი აზრი, ამიტომ მოვხვდებით სემინარზე, თუ არა, ეს არ არის რაიმეს განმსაზღვრელი“,** — განაცხადა ფოფხაძემ.

# „ვინც მოსამართლეების ამ სიას მხარს დაუჭერს, ავტომატურად შევა კონფლიქტში საზოგადოებასთან“

ალნიშნული განცხადება გედევან ფოფხაძემ მმართველ გუნდში არსებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით გააკეთა. მისი თქმით, მთავარ პრიორიტეტად ისევ საკანონმდებლო ორგანოდან მოსამართლეთა სიის გაწვევა რჩება.

**„იუსტიციის საბჭოს ძალიან ნათლად და გასაგებად უნდა ეთქვა, რომ ამ სიას მხარს არ დაუჭერს. ეს არის ერთადერთი სწორი გზავნილი საზოგადოების წინაშე, რომელიც ელოდება ჯანსაღ, ჯანმრთელ მართლმსაჯულებას. ვინც ამ სიას მხარს დაუჭერს, ავტომატურად შევა კონფლიქტში საზოგადოებასთან,“** — აცხადებს ფოფხაძე.

მოვლენათა შემდგომი განვითარება სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილის პოზიციაზეა დამოკიდებული, რომელსაც ჯერ მიმდინარე პროცესების შესახებ შეფასება არ გაუკეთებია.

# თავისი პოზიცია ყველამ ღიად და საჯაროდ დააფიქსიროს...



**მოდით, ყველა ის ადამიანი, ვინც გუნდურობას მასწავლის და რაღაც ვერსიებს ავითარებს, ჩემ მაგივრად ვიდრე ისაუბრებენ მიზეზებზე, რომელიც მხოლოდ მე ვიცი და არ იციან მათ, უმჯობესი იქნება, პირდაპირ ჰკითხოთ, დაუჭერენ თუ არა ამ სიას მხარს,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ განაცხადა.

**„რა დავალებით ისაუბრებს კახა კუჭავა, რომელიმე სხვა კოლეგა ან მდინარაძე, გასაგებია, რომ ეს არის იმ ჯგუფის პოზიცია, რომელსაც არ გამოუხატავს თავისი პროტესტი და არ გამოუხატავს თავისი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ამ პროცესის და სიის მიმართ. ამიტომ მოდით, ყველამ დააფიქსიროს თავისი პოზიცია ღიად და საჯაროდ, თუ რას ფიქრობს ამ სიასთან დაკავშირებით. უნდა იყოს თუ არა ეს სია გაწვეული ან დაუჭერენ თუ არა ამ სიას მხარს. მოდით, ყველა ის ადამიანი, ვინც გუნდურობას მასწავლის და რაღაც ვერსიებს ავითარებს, ჩემ მაგივრად ვიდრე ისაუბრებენ მიზეზებზე, რომელიც მხოლოდ მე ვიცი და არ იციან მათ, უმჯობესი იქნება, პირდაპირ ჰკითხოთ, დაუჭერენ თუ არა ამ სიას მხარს. ამის შემდეგ გამოჩნდება, რა პოზიცია აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს საჯაროდ ავითარებენ ვერსიას, რომელიც ირაკლი კობახიძემ მოიფიქრა და ეს ცრუ ვერსიაა“,** — განაცხადა ბესელიამ.

# განხეთქილება „ოცნებაში“



**დეპუტატ ბექა ნაცვლიშვილის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების წარდგენილ სიას მხარს დაუჭერს, ის საპარლამენტო უმრავლესობას დატოვებს. ამის შესახებ ნაცვლიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა.**

ნაცვლიშვილი დეპუტატებს საკუთარი პოზიციების დაფიქსირებისკენ მოუწოდებს.

**„საკითხი დგას შემდეგნაირად: ვაღიარებთ იმას, რისთვისაც ვიბრძოლეთ თუ უარვყოფთ. ეს დაპირისპირება, ცხადია, არის და ის გამოსულია გარეთ. რა სიმწვავე ექნება ამ პროცესს, ყველა ინდივიდუალურად მიიღებს გადაწყვეტილებას. თუ მოსამართლეების საკითხი ისევ იდგება დღის წესრიგში და ამ მიმართულებით არაფერი შეიცვლება, ისევ თუ ამ ტიპის სია შემოვა, რა სიაც იყო შემოსული და უმრავლესობა მხარს დაუჭერს, მე საპარლამენტო უმრავლესობას დავტოვებ. ე.ი. ჩვენს შორის არის ფუნდამენტური განსხვავება ამ მნიშვნელოვან საკითხზე“,** — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

# თუ ირაკლი კობახიძე სინოდის საკითხებში აპირებს ჩარევას, თმების მოშვებას, სჯობს, წვერი მოუშვას



**ამის შესახებ დეპუტატმა დავით ჭიჭინაძემ პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის მისამართით განაცხადა, რომელმაც თქვა, რომ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით საპატრიარქოსთან კონსულტაციები გაიმართება და მთავრობის პოზიცია ამის შემდეგ გახდება ცნობილი.**

დავით ჭიჭინაძის განცხადებით, ირაკლი კობახიძე ზღვარს გადადის.

**„მისი განცხადება, რომ თურმე საპატრიარქოსთან ერთად უკრაინის ავტოკეფალიის საკითხს განიხილავს ეს ადამიანი, მე ვფიქრობ, მას საკმაოდ ერევა ვექტორები, სად შეიძლება მისი ჩარევა და სად არ შეიძლება. შესაბამისად, თუ უკვე სინოდის საკითხებში აპირებს ჩარევას, თმების მოშვებას სჯობს, რომ წვერი მოუშვას ამ ადამიანმა“,** — განაცხადა ჭიჭინაძემ.

# სოფო ხორგუანი პარლამენტის შუალედურ არჩევნებში იყრის კენჭს

**სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილე სოფო ხორგუანი მთაწმინდის ოლქში პარლამენტის შუალედურ არჩევნებში კენჭს იყრის. ამის შესახებ სოფო ხორგუანმა თავად განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას.**

ხორგუანის თქმით, მას არცერთ პარტიასთან კონსულტაცია არ გაუვლია და შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით მიიღებს.

**„ადამიანები, რომლებიც მოვიდნენ ხელისუფლებაში და სურდათ, ამ ქვეყანაში არსებული ვითარება შეეცვალათ, ვერ გაართვეს თავი საქმეს ისე, როგორც ამას მათგან ამომრჩეველი ელოდებოდა. ნიჰილიზმის განცდა და დეპრესია, რომელიც არსებობს ჩვენს საზოგადოებაში, დამთრგუნველია. ჩემი გამოცდილებით შევძლებ, ხელისუფლება უფრო მეტად ავამუშაო. მე ვიცი, როგორ უნდა მუშაობდეს სახელმწიფო სისტემა, როგორ უნდა მუშაობდეს ხელისუფლება და დღეს არსებული კანონმდებლობით, არის თუ არა შესაძლებელი ვითარება უკეთესობისკენ დღესვე შეიცვალოს. დღეს რომ ხელისუფლება ეფექტიანად მუშაობდეს, გაცილებით უკეთესი შედეგი იქნებოდა ქვეყანაში“,** — განაცხადა სოფო ხორგუანმა.



შუალედური არჩევნები მთაწმინდის საარჩევნო ოლქში აპრილში გაიმართება. მთაწმინდის ოლქში შუალედური არჩევნები მას შემდეგ დაინიშნა, რაც მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატ სალომე ზურაბიშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა.

# რუსთავის ბაგა-ბაღებში თავისუფალი დასწრება გამოცხადდა

**გრიპის ვირუსის გამო რუსთავის ბაგა-ბაღებში 15 იანვრამდე თავისუფალი დასწრებაა გამოცხადებული.**

**როგორც „რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ Facebook-ის გვერდზე წერს, თავისუფალი დასწრების შემდეგ შესაძლებელია 7 საპატიო გაცდენის უფლებით სარგებლობა.**

**„იანვრის თვეში თავისუფალი დასწრების გაგრძელების საკითხი დამოკიდებულია ვირუსების გავრცელების დინამიკაზე. დამატებით ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად მოგაწვდით“, — ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.**

# გადაიდება თუ არა სწავლა სკოლებში?

**ამ კვირის განმავლობაში დავაკვირდებით რა მდგომარეობა იქნება, შემდგომ ჯანდაცვის სამინისტრო და განათლების სამინისტრო ერთობლივ გადაწყვეტილებას მიიღებენ, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ ვირუსების გამო სასწავლო პროცესის დაწყების გადადებასთან დაკავშირებით განაცხადა.**

**მისი განმარტებით, ქვეყნისთვის ეპიდემიური ზღვარი არის 450 000-500 000 მოსახლეზე.**

**„დღეს ჩვენ გვაქვს 254 000. ამ კვირის განმავლობაში დავაკვირდებით, რა მდგომარეობა იქნება და შემდგომ ჯანდაცვის სამინისტრო და განათლების სამინისტრო ერთობლივ გადაწყვეტილებას მიიღებენ“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.**

# გრიპის ვირუსით 10 ადამიანია გარდაცვლილი

**ამ ეტაპზე H1N1-ით გარდაცვალების ლაბორატორიულად დადასტურებული 10 შემთხვევა გვაქვს, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა. მისი თქმით, იანვრის პირველ კვირაში ავადობის მაჩვენებელი 21 ერთეულითაა შემცირებული.**

**„დეკემბრის ბოლო კვირას იყო 277, ახლა არის 256. ასევე შემცირებულია მძიმე რესპირატორული ინფექციებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი, 41% იყო ახლა კი 33%-ია, თუმცა, ესეც მაღალია. საავადმყოფოში რჩებიან ის ადამიანები, შედარებით მძიმე ავადმყოფები გრიპის სხვადასხვა გართულებებით. ქვეყანაში გაიცემა სახელმწიფოს ხარჯზე ანტივირუსული პრეპარატი „ტამიფლუ“, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ყველა საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრშია. ამ ცენტრების მისამართები ჩვენს ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. ეს პრეპარატი უფასოდ გაიცემა შემდეგი კატეგორიის ადამიანებზე: ბავშვებზე, ორსულებზე, სოციალურად დაუცველებზე, პენსიონერებზე, ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებზე, გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებზე, დიაბეტის მქონე პაციენტებზე და ასევე, ონკოლოგიური დაავადებების მქონე ადამიანებზე. „ტამიფლუ“ უფასოდ გადაეცემათ ასევე ონკოლოგიური დაავადებების და სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანებს“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ პრეპარატის შესაბამისი მარაგი ქვეყანაში არის.**

# პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები...

**პირველადი ჯანდაცვის 5 დაწესებულება დილის 10 საათიდან საღამოს 22 საათამდე იმუშავებს.**

**8 იანვრიდან პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ დღე-ღამის ნებისმიერ დროს გრიპის სიმპტომების გაჩენისთანავე კონსულტაცია ოჯახის ექიმთან გაიარონ.**

**შპს „მედკაპიტალი-გლდანი“ მის: ვეკუას ქ. № 18.**

**შპს „მედკაპიტალი-საბურთალო“ მის: გამრეკელის ქ. №19.**

**შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ მის: წინამძღვრიშვილის ქ. № 57.**

**შპს „მედსი: („ვერე-21“) მის: ქიაჩელის ქ. № 18.**

**შპს „მედკაპიტალი-სამგორი“ მის: მოსკოვის გამზ. კვ. 4, კორპ.**

**ეს იმ დაწესებულებების ჩამონათვალია, რომელიც დღეიდან 24-საათიან სამუშაო გრაფიკზე გადავა.**

**ჯანდაცვის სამინისტრო მოუწოდებს ბენეფიციარებს გრიპისა და რესპირატორული ინფექციის, სიმპტომების გამოვლენისთანავე მიმართოს ოჯახის ექიმს და მკურნალობა შესაბამისი სამედიცინო ჩვენების საფუძველზე დაიწყოს.**

# უსამართლო სასამართლო, რომელიც ვერა და ვერ მოვიშორეთ



**იუსტიციის საბჭოს მიერ უვადოდ დასანიშნ მოსამართლეთა სიამ საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. დაძაბულობაა მმართველ ძალაში, სადაც ე.წ. „ძველი გვარდია“ და „ახალი ფორმაცია“ ერთმანეთს დაუპირისპირდა.**

**ორივე მხრიდან ისმის სხვადასხვა სახის განცხადებები, ბრალდებები და, შეიძლება ითქვას, შეფარული მუქარებიც კი.**

**ძალიან საინტერესოა უმრავლესობის „შიდა ბრძოლებისგან“ აბსოლუტურად დამოუკიდებელი პოლიტიკოსის შეფასებები. სწორედ ამიტომ გთავაზობთ პარლამენტის ვიცე-სპიკერის ირმა ინაშვილის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ანალიზს ამ მეტად საჭირბოროტო საკითხთან მიმართებაში.**







„ვფიქრობ, ჩვენი სათქმელი საზოგადოებას ყოველთვის მკაფიოდ უნდა ვუთხრათ. რა ხდება მოსამართლეების თემის ირგვლივ? რატომაა ეს თემა ასეთი მწვავე, ასეთი მძაფრი, ასეთი პრინციპული ჩვენი საზოგადოებისათვის? პირველ რიგში იმიტომ, რომ საქმე მართლმსაჯულებას ეხება!!! როგორი მართლმსაჯულებაცაა ქვეყანაში, ისეთია სახელმწიფო. რა იწვევს საზოგადოების პროტესტს? აბსოლუტურად ნათელი მოცემულობა: მოსამართლეთა გარკვეული შემადგენლობა, რომელსაც სისტემაში გადამწყვეტი ძალა და გავლენა აქვს, შეიკრა, შედუღაბდა ერთიანი ინტერესით და ეს ინტერესი, პირველ რიგში, გადარჩენას უკავშირდება და არანაირად – მართლმსაჯულების სიწმინდეს. ვინ არიან ეს მოსამართლეები და რა ფაქტები არსებობს მათ ირგვლივ? ესენი არიან რეჟიმის მოსამართლეები, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უკანონო დავალებებს ასრულებდნენ (ცხადია, ახლა ამას უარყოფენ და ამტკიცებენ, თითქოს დავალებას არავინ აძლევდა, მაგრამ თან, აღნიშნავენ, ის სისტემა მანკიერი იყოო). მათ მიერ გამოტანილი განაჩენები მათსავე მძიმე რეპუტაციასა და იმიჯზე მეტყველებს და როცა კითხვა ისმება, – რატომ არ საუბრობთ არგუმენტებითა და ფაქტებითო, იმაზე მეტი ფაქტი რა გინდათ, რასაც წერს სტრასბურგის სასამართლო გირგვლიანის საქმეზე!

მთელი სასამართლო სისტემა ემორჩილებოდა ერთ ვერტიკალსო! იმდროინდელი ელიტური მოსამართლეები ვინ იყვნენ? ისინი, ვის არჩევასაც დღეს უვადოდ, მარადიულად გვთავაზობენ! განაჩენების თემას რაც შეეხება, ნახეთ ამ მოსამართლეების მიერ გამოტანილი განაჩენები, იგივე სულხან მოლაშვილის საქმეზე, დაჩი ცაგურიას საქმეზე, ამირან ქადაგიშვილის საქმეზე, სხვა საქმეებიც მრავლადაა და დასკვნას ადვილად გამოიტანთ, აი, ეს იწვევს საზოგადოების პროტესტს. ახლა, მორიგჯერ ავხსნათ, რას გვეუბნება იუსტიციის უმაღლესი საბჭო. გვეუბნება, რომ რეჟიმის მოსამართლეები, რომლებსაც 2003-2012 წლებში უკანონო, დანაშაულებრივი, სამარცხვინო განაჩენები გამოჰქონდათ, რომელთა განაჩენები მორალურად, სულიერად, ფიზიკურად კლავდა და ანადგურებდა ადამიანებს, კვლავ უნდა ვიხილოთ სასამართლო სისტემაში, თან – უვადოდ!

ჩინჩალაძე-მურუსიძის კლანი რომ კლასიკური ტიპის კლანია, ამაზე მრავალი ფაქტორი მიანიშნებს: ჯერ კიდევ 2013 წლიდან მოსამართლეების ამ შემადგენლობამ დაიწყო მთელი რიგი საქმეების ბლოკირება, მართლმსაჯულების სისტემაში ხელოვნური კრიზისის შექმნის მიზნით, რათა საკუთარი ძალა ეჩვენებინათ ახალი ხელისუფლებისათვის. მოსამართლეების ამ შემადგენლობამ მიზანმიმართულად შექმნა განცდა, რომ მხოლოდ ისინი არიან სტაბილურობის გარანტნი და დაიწყო გადარჩენის პროცესი, ესეც იყო თავისებური „სასამართლო კოჰაბიტაცია“, რაც, ვიმეორებ: ჩუმად, უხმაუროდ დაიწყო, მაგრამ დაიწყო პრაქტიკულად. რეალურად ეს იყო ხელისუფლების დაშანტაჟების პროცესი, – ჩვენ თუ არა, სხვა – ვინ? ჩვენ თუ არა, მართლმსაჯულება კრიზისს ვერ აცდება, ეს გამოიწვევს დასავლეთის აღშფოთებას, ეს გამოიწვევს ხელისუფლების რღვევას (?!)... თუ გახსოვთ, მაშინ მურუსიძემ თავი რეჟიმის მსხვერპლადაც გამოაცხადა, ახლაც ამ როლშია, ვითომ მართალი, სუფთა მოსამართლის როლში, მაგრამ მისი განაჩენები მისი „სიმართლის რეზულტატია“.

როცა ჩინჩალაძის ფაქტორზე ვსაუბრობთ, მას, გვრიტიშვილებისა და მურუსიძეებისაგან განსხვავებით, გაცილებით ნაკლებ განაჩენს უპოვით, ვინაიდან სასამართლოში კონკრეტული საქმეების წარმოებით პრაქტიკულად არც იყო დაკავებული, დაკავებული იყო პროცესის მართვით – რეჟიმის სასარგებლოდ! ანუ დანაშაულს სჩადიოდა და ცდილობდა, კვალი არ დაეტოვებინა, მაგრამ დატოვა და ამაზე პარლამენტში ვისაუბრებ! ჩინჩალაძე იყო ადეიშვილ-სააკაშვილის მარჯვენა, მარცხენა, ზედა, ქვედა ხელი. ყველაზე სახიფათო, ყველაზე გავლენიანი, ყველაზე წონადი ფიგურა. ეს წონა მას დღემდე აქვს შენარჩუნებული. რის ხარჯზე? 2013 წლიდან ახალმა ხელისუფლებამ ზემოხსენებულ მოსამართლეებს ხელშეუხებლობის სრული გარანტიები მისცა. სასამართლო სისტემაში მმართველობის ბერკეტი შეინარჩუნა მურუსიძე-ჩინჩალაძეების კლანმა, რომლის პირად სიმპათიაზე იყო და არის დამოკიდებული, ვინ დარჩება ან არ დარჩება სისტემაში. აი, ამ საერთო ინტერესმა გააერთიანა მოსამართლეთა კლასი, – ქვედა ინსტანციიდან ზედა ინსტანციამდე: თავის დროზე ყველას რაღაცა აქვს დაშავებული, მაგრამ ეს იყო არა მათი, არამედ რეჟიმის ბრალი და ახლა ყველა ხომ არ აგებს პასუხს? ეს „ყველა“ უნდა შეიკრას, შედუღაბდეს და ჩაიკიროს ქართულ სასამართლო სისტემაში.

2013 წლიდან დღემდე ჩინჩალაძე-მურუსიძის კლანმა სასამართლო სისტემაში სრული გავლენა ხელახლა დაიმკვიდრა და გაიმყარა. ისიც უნდა ითქვას, რომ სააკაშვილის რეჟიმისაგან განსხვავებით, ისინი ბევრად კომფორტულ გარემოში აღმოჩნდნენ. ადეიშვილის ფაქტორი აღარაა. სააკაშვილის ფაქტორიც აღარაა! თუმცა, ყველა ხელისუფლებას აქვს ცდუნება, ჰქონდეს შესაბამისი მაკონტროლებელი გავლენა სასამართლოზე და არც უამისობაა. შესაბამისად, რეჟიმის მოსამართლეებს აუმაღლდათ თვითშეფასების განცდა და მოთხოვნების მასშტაბიც გაზარდეს. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით მოსამართლეების უვადოდ გამწესება კონსტიტუციით გახდა დაცული, რასაც პირადად მე საკონსტიტუციო განხილვებისას საჯაროდ ვაპროტესტებდი. კარგი იქნებოდა, მაშინ აღემაღლებინათ ხმა უმრავლესობის დეპუტატებს. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ჩვენი ტიპის, გამოცდილების, მემკვიდრეობის სახელმწიფოში მოსამართლეების დანიშვნა უვადოდ არ უნდა ხდებოდეს. ხალხს უნდა დარჩეს საშუალება, გამოიწვიოს, შეცვალოს, გადაირჩიოს. იყო საპირისპირო არგუმენტი, რომ უვადოდ არჩევა მოსამართლეებს სტაბილურობის განცდას შეუქმნის და ეს მართლმსაჯულებაშიც შესაბამის ობიექტურობასა და სტაბილურობას განაპირობებს. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით, ასევე, უკიდეგანოდ გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები. გამოვიდა, რომ ხელში შეგვრჩა სახელმწიფო სახელმწიფოში. მაშინვე ითქვა, რომ საკამათო ფაქტორები საკანონმდებლო ცვლილებებით უნდა დარეგულირებულიყო, მაგრამ პარლამენტს ჯერ ამ ცვლილებებზე მსჯელობა არ დაუწყია. ამასობაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მაფიოზურ ჯგუფს ემსგავსება, რომელიც არა თუ არ ითვალისწინებს საზოგადოების ნებას, არამედ ცინიკურად აცხადებს, რომ მოსამართლეების წარმოდგენილი სია არ შეიცვლება. თუ ასეა, ახლა ვნახოთ, შეიცვლება, თუ არა!

მოსამართლეების თემის ირგვლივ საუბარი უმრავლესობის როგორც ე.წ. „ძველ გვარდიასთან“, ისე ახლების შემადგენლობასთან მქონდა. მდინარაძე-მათიკაშვილის მხარე აცხადებს, რომ მოვლენებს წინ რატომ უნდა გავუსწროთ?! შემოვიდეს სია პარლამენტში, ვნახოთ, რა სია იქნება, დავიწყოთ მსჯელობა და, ბოლოს და ბოლოს, არ დავუჭიროთ მხარი. ამასობაში, პარლამენტმა დაიწყოს სათანადო საკანონმდებლო პაკეტის მომზადება და მიღება, რაც ფაქტია, რომ დროსთანაა კავშირში, მაგრამ მაინც. თუ პარლამენტი იუსტიციის საბჭოს მიერ წარმოდგენილ მოსამართლეთა სიას (ერთი და იგივე კანდიდატურის წარდგენა მხოლოდ 2-ჯერაა შესაძლებელი) ორჯერ ჩააგდებს, მაშინ მესამედ იუსტიციის საბჭო იმავე სიით შემადგენლობას ველარ წარადგენს! მაგრამ საკითხვი ის არის – ჩააგდებს კი? მდინარაძე-მათიკაშვილ-თალაკვაძის განმარტებით, არავითარი ზეწოლა დეპუტატებზე არ იქნება, პროცესს საზოგადოება საჯაროდ დააკვირდება და ყველას ესმის, რომ თუ უმრავლესობა ხალხის ნების წინააღმდეგ წავა, შედეგიც ადეკვატური იქნება – მასობრივი პროტესტი! ე.წ. ძველების შემადგენლობა, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის ბუნებასთან პირდაპირი შეხება ჰქონდა და რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა რეჟიმის მოსამართლეების განაჩენების არაადამიანურობა და სიმძიმე, გაცილებით მწვავეა მის პოზიციებში და აცხადებს, რომ იმავე შემადგენლობით სიის მორიგჯერ წარმოდგენა პარლამენტში, ეს პარლამენტის შეურაცხყოფაა და სია უნდა შეიცვალოს! ჩინჩალაძეების, გვრიტიშვილების, მურუსიძეებისაგან სასამართლო სისტემა საბოლოოდ უნდა გაიწმინდოს. რეალურად ეს პოზიციები ფიქსირდება! დანარჩენს თავად გაარკვევენ – გუნდში! შევეცადე, მარტივად გამეშალა სურათი.

ახლა, რა მინდა, რომ ვთქვა: უნდობლობაა ხალხში! ვერ ხედავს და ვერ გრძნობს ხალხი, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები მკაფიოდ ეწინააღმდეგებიან და აპროტესტებენ წარმოდგენილ სიას! ეს იწვევს, ერთი მხრივ, უნდობლობას, ეჭვს და , მეორე მხრივ, სიბრაზეს, ამიტომ მკაფიო პოზიციების დაფიქსირება იქნება საჭირო უმრავლესობის ლიდერების მხრიდან! ეს ის მომენტია, როცა პლასტელინობა დაუშვებელია! იუსტიციის უმაღლესი საბჭო კია „უმაღლესი“, მაგრამ არ დგას პარლამენტზე მაღლა და საქართველოს პარლამენტმა საბჭოს ეს უნდა აჩვენოს! უნდა აჩვენოს, როგორ გამოხატავს ხალხის ნებას! ამასთან, ჩემი პოზიციაა, რომ სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ არსებული ფორმით იუსტიცის საბჭოს სტრუქტურისა და ფუნქციების ტრასფორმაციის პროცესი, სასწრაფოდ უნდა განვახორციელოთ მთელი რიგი საკანონდებლო, საკონსტიტუციო ცვლილებები, რაც გარდაუვალი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც მართლმსაჯულებას დავიცავთ, ვერც სასამართლოს იმიჯს, ვერც ქვეყანას და ვერც სახელმწიფო ინტერესებს, მუდმივად ვიქნებით ჩინჩალაძე-მურუსიძე-გვრიტიშვილის შანტაჟის ქვეშ და შანტაჟს ყველა ნიშანი სახეზეა, თუნდაც, მურუსიძის დანიშვნა, რაც საპასუხო რეაქცია იყო პარლამენტის გადაწყვეტილებაზე – შეეჩერებინა მოსამართლეთა წარმოდგენილი სია.

მოკლედ, საჭიროა სიმტკიცე და პრინციპულობა! ჩინჩალაძე-მურუსიძე-მიქაუტაძე-გვრიტიშვილებს და კიდევ სხვებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი გამოწვევა მიღებულია და ამ ცინიკურ გამოწვევას ქართველი ხალხი აუცილებლად უპასუხებს!!! უკვე ვხედავ, რომ ეს პასუხი უმკაცრესი იქნება!

**მოამზადა**
**გია გაბრიჭიძე**

## რაულ ხაჯიმბა ნიკოლას მადუროს მიწვევით ვენესუელაში მიდის



**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ე.წ სამუშაო ვიზიტით ვენესუელაში მიემგზავრება. ამის შესახებ ინფორმაციას საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელის ოფიციალური საიტი ავრცელებს.**

**როგორც გამოქვეყნებულ ინფორმაციაშია ნათქვამი ხაჯიმბა ვენესუელას პრეზიდენტ ნიკოლას მადუროს მიწვევით ესტუმრება და მონაწილეობას მიიღებს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიაში. ამასთან ე.წ სამუშაო ვიზიტის ფარგლებში მადუროსთან შეხვედრისას აფხაზეთისა და ვენესუელის ურთიერთობის ამჟამინდელ და სამომავლო მდგომარეობასაც განიხილავენ.**



# თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარიხოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?!

## კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის 2019 წლის საშობაო ეპისტოლე

„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:

საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაეცემოდა მოლოდინი იმისა, რომ „მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“, რაც ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“ (ესაია 7,14) და რომ იქნება „სახელი მისი დიდისა განზრახვისა ანგელოზი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნეთა“ (ესაია 9, 5-6).

2019 წლის წინ აღსრულდა ქვეყნიერების მხსნელის შესახებ წმინდა ესაიას ეს წინასწარმეტყველება.

ჭეშმარიტად ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სულიერად თანაზიარნი გავხდეთ ენით გამოუთქმელი ამ სასწაულისა, თუმცა ღვთის დიდებას სრულად ვერასდროს შეიცნობს ადამიანური გონება და ვერც იესო ქრისტეს ღვაწლს გააცნობიერებს სრულად ოდესმე. ვიცით, რომ იგი „გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხა სულისაგან წმინდისა, „რომ იცხოვრა კაცთა შორის, აღასრულა მრავალი სასწაული, მოგვცა ახალი მცნება და ჯვარს ეცვა, რათა ჩვენთვის ცხონება მოენიჭებინა... ერთი შეხედვით, მარტივად ითქმის ეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით მომხდარს, გამაოგნებელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით: უფალი, შემოქმედი, მეორე ჰიპოსტასი წმინდა სამებისა, რომელიც, მამის და სულიწმინდის მსგავსად, მხოლოდ საღვთო ბუნებისა იყო, ჩვენს გადასარჩენად იღებს ადამიანურ ბუნებასაც. ყოვლისშემქმნელმა, ყოვლისშემძლემ, მარადიულმა, დაუსაბამომ, ცხოველსმყოფელმა... კაცობრივი სხეული და თვისებები (გარდა ცოდვისა) მიიღო, რათა გამხდარიყო თანაარსი ყველა ჩვენგანისა და ჩვენთვის მოენიჭებინა ცოდვათაგან განთავისუფლება და განღმრთობა. ამიტომაც იგი, განკაცების შემდგომ თავის თავში უკვე მარადიულად ატარებს ორ სრულიად განსხვავებულ, შეურევნელ ბუნებას: შეუქმნელობასა და შექმნილობას, დაუსაბამობასა და დასაბამიერობას, გარეშეუწერელობასა და გარეშეწერილობას; მკვდრეთით აღდგომამდე კი უკვდავებასთან ერთად ჰქონდა მოკვდავობაც, უვნებობასთან ერთად – ვნებულობაც, უხრწნადობასათან ერთად – ხრწნადობაც. მან, ჭეშმარიტმა სიცოცხლემ, მოკვდავობა იწილხვედრა, რათა თვისი უკვდავებით სიკვდილი მოეკვდინებინა; ბუნებით უხრწნელმა ხრწნადი სხეული შეიმოსა, რათა ჩვენი ხრწნილება განექარვებინა, ჩვენი უგუნურება საღვთო ცოდნით განებრწყინვებინა და ცოდვისადმი მონობა ცოდვაზე მეფობით შეეცვალა. ამის ძალმოსილება მხოლოდ მას ჰქონდა! მხოლოდ მას შეეძლო თავის საღვთო ჰიპოსტასში დაეტია ერთობა ადამიანური თვისებებისაც და უდიდესი მსხვერპლის ფასად შეემუსრა ათასწლეულების მანძილზე გამრავლებული და გამოვლენილი მთელი კაცობრიობის ცოდვის სისავსე.

ეს სასწაული ორ ეტაპად ხორციელდება: წმინდა იოანე დამასკელის სწავლებით, პირველ ეტაპზე განკაცებული ღმერთის კაცობრივ ბუნებაში მოხდა ამ ბუნებისთვის დამახასიათებელი უმეცრების, უძლურების, არაცხოველსმყოფელობისა და მონურობის საღვთო ღირსეულობებით (საღვთო ცოდნით, შემძლეობით, ცხოველსმყოფელობით, მეუფებით) გამდიდრება, არსობრივი თვისებების შეუცვლელად, და ჩვენ, ქრისტესთან თანაზიარებით, მიწიერ ყოფაში მოგვეცა შესაძლებლობა ამ მადლით განმსჭვალვისა. სულიერი ცხოვრებით, მაგალითად, მოიპოვება სიბრძნით მეტყველება, წინასწარმეტყველების ნიჭი, კურნების ძალა, სხვა სასწაულთქმედებათა უნარი, რომელიც პიროვნებაში არსებით ცვლილებებს არ იწვევს. ამიტომაც ღვთის ამ საბოძვარს ადვილად დაკარგავს ყველა, ვინც კვლავ ცოდვაში ჩაეფლობა. მეორე ეტაპზე, ანუ მაცხოვრის ჯვარცმის, დაფვლისა და აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტემ თავისი განღრთობილი კაცობრივი ბუნება თვისობრივად გარდაქმნა, ადამისეულ თავდაპირველ უცოდველ მდგომარეობას დაუბრუნა და, უფრო მეტიც, - თითოეულ ჩვენგანს ღვთის საუფლოს მარადიულად დამკვიდრების შესაძლებლობა მიანიჭა.

ასე რომ, ცათა შინა დაუსრულებელი სიხარული და ნეტარება ელოდება ყველას, ვინც კი ქრისტეს გზით სვლას მოინდომებს და შესაბამის ღვაწლს აღასრულებს. ქმნილებისადმი შემოქმედის ენითუთქმელი სიყვარულის ამ საოცარმა გამოვლინებამ მთელი ხილული და უხილავი სამყარო შეძრა: „ანგელოზნი ღაღადებენ, მთავარანგელოზნი გალობენ, აქებენ ქერუბიმნი და ადიდებენ სერაფიმნი,- ყოველი დაბადებული დღესასწაულობს დღეს, რამეთუ ღმერთსა ხედვენ ქვეყანასა ზედა და კაცსა, – ცათა შინა; ქვესკნელსა, - ზესკნელად განგებულებით და ზესკნელსა, – ქვესკნელად კაცთმოყვარეობით“ (ათანასე ალექსანდრიელი).- პირველი ვინ მიეახლება ბეთლემელ ყრმას? პირველი ვინ იგრძნობს და ვინ შეეგებება მომხდარ სასწაულს?- ძველი აღთქმის მართალი იოსები, უბრალო მწყემსნი და წარმართული სამყაროს ბრძენნი, – შორეული სპარსეთიდან (ასურეთიდან) უჩვეულო ვარსკვლავის მსვლელობას გამოყოლილი მოგვნი, რომელთაც საოცარი სიმბოლური შესაწირი, – ოქრო, გუნდრუკი და მური, -– მიართვეს მას ოქრო – ვითარცა მეფეს, გუნდრუკი – ვითარცა ღმერთს, და მური – ვითარცა ღმერთკაცს, რომელიც კაცობრივი ბუნებით უნდა მომკვდარიყო და შეემურვათ.

წმინდა იოანე ოქროპირი ამ სამ ძღვენში ხედავს ადამიანისთვის უმთავრეს სიკეთეთაც: ჭეშმარიტ რწმენას, სასოებასა და სიყვარულს, რომელთა აუცილებელი ერთობაც განაპირობებს ნებისმიერი პიროვნების უფლისკენ სწორად სვლას.

ინებოს ღმერთმა, ჩვენც, მოგვთა მსგავსად, ნელნელა ავმაღლდეთ გულისხმისყოფისა და სრულყოფის კიბეზე, შევიმოსოთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, რომ ვპოვოთ ბეთლემის ბაგასა შინა მწოლი იესო და განვეშოროთ უკეთურ ბრძანებებსა და მზაკვრობას ჰეროდე მეფისას, რომელმაც 14 000 ყრმა მოაკვლევინა იმ იმედით, რომ მათ შორის მოაკვდინებდა ახლადშობილ ძეს ღვთისას (მასში მომავალ მეფეს და მეტოქეს ხედავდა) და ამით თავის ამქვეყნიურ მეფობას გაიხანგრძლივებდა.

საუკუნეთა მანძილზე უფლამდე მისასვლელი გზა მუდამ ნარ-ეკლიანი იყო, ვიწრო და ძნელად სავალი, რადგან ყოველ ეპოქას თავისი ჰეროდე ჰყავს, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ ერიდება ბოროტ, ბილწ საქმეთ, არ ერიდება არც უდანაშაულო ყრმათა მოწყვეტას, ოღონდ ადამიანები თავის მონობაში ამყოფოს და შემოქმედი დაავიწყოს. ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვა და სხვა სახით ვლინდება: აბორტით მოწყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰღაღადებს, ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს. ჰეროდესეული სული იმასაც ცდილობს, ისეთი გარემო დაამკვიდროს, სადაც მისაბაძი აღარ იქნება სხვისთვის არა თუ თავის გაწირვა, ნაცვალგების გარეშე სიკეთის ქმნაც კი; მისაბაძი აღარ იქნება ზნეობრიობა და სიწმინდე და ადამიანებს დახშული ექნებათ სინდისის ხმა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სიმართლე და სიკეთე განქარდება, ურთიერთპატივისცემა და პატიოსნება დაიკარგება, რაღა იქნება ჩვენი ყოფა?! თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარიხოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?! ასეთი საზოგადოება ხომ თავისთავად გახდება სიცოცხლის უუნარო და გადაგვარებისათვის განწირული, რადგან მას აღარ ექნება ძალა ბოროტების შეჩერებისა და ცოდვისთვის წინააღმდეგობის გაწევისა? ამასთან, გაქრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ზღვარიც, - ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის. სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა თანდათან ჩვენთანაც ფეხს იკიდებს და ხალხს შიში და უიმედობა იპყრობს, მაგრამ არ უნდა გავტყდეთ, არ უნდა დაგვაბრკოლოს არც გამრავლებულმა ღალატმა და გაუტანლობამ, არც შურმა და მზაკვრობამ. დროა ასეთი! არსებული რეალობა უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენი რწმენის დიდი გამოცდა და შევძლოთ, განვეშოროთ ბოროტებას, ჩვენდამი ჩადენილ ავ საქმეთა გამო, – სამაგიეროს გადახდას; ვეცადოთ, არ დავკარგოთ მომავლის იმედი, არ დავკარგოთ მოყვასის სიყვარული და მისდამი თანადგომის სურვილი, არ დავკარგოთ ღირსება და ძალისამებრ ჩვენისა, სიკეთით ვუპასუხოთ გამოწვევებს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ არის დიდი მცდელობა სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებისაც. თავისთავად სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედიაც და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა თუ ნააზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა. დღეს ადამიანები აღარ ერიდებიან სხვისი დამცირების მიზნით მათ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას; სიცრუე და ბილწსიტყვაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც, – გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე, – ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მაინც, შეცდომაში შეიყვანს.ამის მოქმედთ, ალბათ, ჰგონიათ, რომ რაკი სხვაზე ფიზიკურად არ ძალადობენ და სხეულის დაზიანებას არ აყენებენ, ეს დანაშაული უმნიშვნელოა, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს, – როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის უნარი გააჩნია. არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა – სიკვდილის ტოლფასი.ამასთან, არცერთი ჩვენი ნათქვამი არ ქრება და იგი ჩვენი მამხილებელი იქნება ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: „ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სასამართლოში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას, რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს“ (მათე 5,22).

იაკობ მოციქულიც მეტად მკვეთრ შეფასებას აძლევს ავისმთქმელთ: „ენა ცეცხლია, უსამართლობის სამყა-

როა იგი... „ის ბილწავს მთელს სხეულს ... დაუკავებელი ბოროტებაა და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე. მით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მით ვწყევლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს... ასე არ უნდა იყოს“ (იაკობი 3, 6-10). თითოეული დღე, საათი და წუთი აღბეჭდილია ჩვენი კარგი ან ცუდი ქმედებით, კარგად ან ცუდად მეტყველებით. დროს ვერ დავაბრუნებთ და მასში ვერც ჩვენს ნაკვალევს წავშლით, თუ სინანული არ გვექნა. გულწრფელი, ღრმა სინანული, აღსარება და ზიარება ღვთისგან ნაწყალობევი ის საიდუმლოებებია, რომელთაც ძალუძთ მთელი ჩვენი განვლილი არასწორი ცხოვრების და მისი შედეგების აღმოფხვრა, ცოდვის წარხოცვა და ახალ ადამიანად ჩვენი გარდაქმნა, განწმენდა და სულიერი ამაღლება.

წმინდა იოანე ოქროპირი წერს: როგორი ცხოვრებითაც არ უნდა ვიცხოვროთ, სინანულს ვერ ავცდებით; ის, ვინც ამქვეყნად ცდილობს სინანულით უწამლოს თავისი სულის ცოდვით გამოვლინებებს, მარადიულად იხარებს, ხოლო ვინც ამ ქვეყანად შეჰხარის დროებით წარმავალ სიკეთეთ და ყველა საშუალებით მათ მოპოვებას ესწრაფვის მხოლოდ, აუცილებლად ინანებს საუკუნოდ.

პავლე მოციქული კი ბრძანებს: „ხორციელნი ხორცისას იზრახავენ, ხოლო სულიერნი, – სულისას“... ხორცის ზრახვა სიკვდილია, ხოლო სულის ზრახვა – სიცოცხლე და მშვიდობა“ (რომ. 8, 5-6). „მეორე რჯულშიც“ ვკითხულობთ: „თქვენს წინაშე ვიმოწმებ ცას და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ“ (II სჯ. 30,19).

მთელი კაცობრიობის და თითოეული ჩვენგანის არსებობის არსი ამ ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევაში მდგომარეობს.

**განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მომავალ თაობაზე, რათა შემდეგ მათ საყვედური არ გვითხრან, რომ არ დავეხმარეთ, გაცნობიერებული ნაბიჯები გადაედგათ თავისი ცხოვრების გზაზე. მე ურთიერთობა მაქვს პედაგოგებთან და ნაწილობრივ ვიცი ის პრობლემები, რის წინაშეც დღეს საჯარო სკოლა დგას.სასიხარულოა, რომ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მასწავლებელთა ხელფასს გაზრდის და იზრუნებს მათი ავტორიტეტის ამაღლებისთვის; ასევე სასიხარულოა დაწყებით კლასებში „დედა ენის“ დაბრუნება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია; ჩვენ მხოლოდ აუცილებელ თემებზე შევჩერდებით და ვიმედოვნებთ, ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მას.**

**პირველ რიგში, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას; სასწავლო პროგრამებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ამოღებულია ჩვენი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები, ყურადღება არ მახვილდება ჩვენი ერის გმირულ წარსულზე, არ აღინიშნება გამოჩენილ პიროვნებათა და მოვლენათა ღირსსახსოვარი თარიღები; ხშირად არ ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის გასაცნობად... უნდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რომ ყმაწვილებში სამშობლოს სიყვარული გაღვივდეს და ისინი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.**

ლუკმაპურის შოვნისთვის სახლიდან გასულ მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის; ამიტომაც, სახელმწიფომ და, აქედან გამომდინარე, სკოლამ უნდა იტვირთოს როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია. სკოლაში საათები უნდა დაეთმოს პირად ჰიგიენას, ხელსაქმეს, სახელობო მიმართულებებს, ბუნებასთან ურთიერთობას, სოფლის მეურნეობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას, უნდა ფუნქციონირებდეს მუსიკალური, სამხატვრო, ლიტერატურული წრეები...

უმნიშვნელოვანესია სპორტული დარბაზებითა და მოედნებით სასწავლებლების უზრუნველყოფა და სპორტულ წრეებში ბავშვების გაერთიანება, რომ მათ ენერგია აქ დახარჯონ და ჯანმრთელ და ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული, უნარი პატიებისა და სხვისი სიხარულით გახარებისა, სიმართლის დაცვისა და მეგობრის ერთგულებისა, დაჩაგრულის თანადგომისა და, საერთოდ, სიკეთის ქმნისა.

ამის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოზარდებს მივეცით საშუალება ჯანსაღ თაობად აღზრდისა; შევთავაზეთ სიკეთე და სიცოცხლე, დანარჩენი კი მათ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

როგორც აღვნიშნეთ, დღეს ხშირ შემთხვევაში დედმამა შვილს ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას; სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მშობელი ნაკლებად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, რაც დაუშვებელია; სავალდებულო უნდა გახდეს პედაგოგებთან ხშირი შეხვედრა; მათ უნდა იგრძნონ თავისი პასუხისმგებლობა და მასწავლებლებთან ერთად ყველაფერი გააკეთონ შვილთან მიმართებაში სწორი მიდგომების განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება ოჯახს, ანუ მცირე ეკლესიას: ზოგადად, ყველამ ვიცით, რომ იგი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს. ყველამ ვიცით ისიც, რომ ოჯახში უსიამოვნებებიც ხდება, მაგრამ როგორც ცოლი, ისე ქმარი უნდა ეცადოს, რთული სიტუაცია მალევე განმუხტოს და, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, დღე ისე არ უნდა დასრულდეს, რომ განაწყენებულებმა ერთმანეთს შენდობა არ სთხოვონ.

გახსოვდეთ ისიც, რომ ჩხუბსა და დაძაბულობას შვილები უნდა განარიდოთ, მათი მგრძნობიარე სული მთელი სიმწვავით რეაგირებს ასეთ ქმედებებზე; განსაკუთრებით მძიმე კვალს კი მშობლების განშორება ტოვებს.სამწუხაროდ, დღეს ხშირად ირღვევა ოჯახები, უმთავრესად ახლადშექმნილი. ვფიქრობთ, ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდები ცხოვრებისთვის არ არიან მომზადებულნი და პატარა გაუგებრობაც საკმარისი ხდება განშორებისთვის. მათ უნდა იცოდნენ, რომ თავდაპირველად უსიამოვნებები შეიძლება ჰქონდეთ, რადგან ეს არის ერთმანეთთან რეალური ურთიერთობების დაწყების პერიოდი; ეს არის ოჯახურ სივრცეში დათმობის და, ამავე დროს, შენი ღირსების დაცვის, სიყვარულის გაცემისა და მიღების, სხვისი და საკუთარი თავის პატივისცემის დამკვიდრების პერიოდი.

ცოლ-ქმრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის ყოლას. ამასთან, კარგი იქნება თუ ისინი აღსარებას ერთ სასულიერო პირს ჩააბარებენ (რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა და სხვა მოძღვარიც ჰყავდეთ), რომ მისი საშუალებით თითოეულმა შედარებით უმტკივნეულოდ გააცნობიეროს თავისი შეცდომა და მდგომარეობა გამოასწოროს.

დაეყრდენით ღმერთს, ისწავლეთ მასთან საუბარი, გადაუშალეთ გული და იგი გიჩვენებთ საოცარ მაგალითს მეგობრობისა და შეწევნისა. ცალკეული ადამიანი და მთელი მსოფლიოც დაუცველობის განცდამ სწორედ იმიტომ მოიცვა, რომ პიროვნება თავისი თავის იმედად დარჩა და შემოქმედი დაივიწყა. ბედნიერია ის, ვის გულშიც ღმერთმა თვისი ძის სული გამოავლინა (გალატ.4,6) და აღავსო იგი ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ასეთი პიროვნებისთვის აღარ არსებობს შიში ხვალინდელი დღისა, აღარ არსებობს შიში განსაცდელისა და თვით სიკვდილისაც, რადგან იცის და სწამს, რომ „ღვთის მოყვარულთ ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ... ხოლო „თუ ღმერთი ჩვენსკენ იქნება, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ“ (რომ. 8, 28,31)!

**ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ყოველნო ერნო, – ჩვენთვის „იშვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი“, ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი. ბეთლემის ბაგას ვარსკვლავი დასდგომია; ვიჩქაროთ, რომ თაყვანი ვსცეთ ჩვილ იესოს, – აბრაამის აღთქმის განცხადებას, მოსეს რჯულის დასრულებას, ახალ პასექსა და ახალ ადამს, პურს ცხოვრებისას და ნათელს სოფლისას, ძეს ღვთისას და ძეს კაცისას, გზას, ჭეშმარიტებასა და სიცოცხლეს. შორებელთა და ახლობელთ გვიხმობს ღმერთი ჭეშმარიტი, გვიხმობს ხანდაზმულთ და ყრმებს, ახალგაზრდებს, გვიხმობს დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ, ქვრივობლებს, განსაცდელში მყოფთ, მდიდართ და გლახაკთ, ჩინებულთ და უჩინოთ, ერსა და ბერს. არა აქვს მნიშვნელობა, მისკენ ჩვენი გზის სავალი ბეთლემელი მწყემსებივით ხანმოკლე იქნება, თუ მოგვებივით ხანგრძლივი, მთავარია ვპოვოთ იესო, ვპოვოთ ყოვლადწმინდა მარიამი, ჩვენი გამორჩეული მფარველი, და აღარც განვეშოროთ მათ სიცოცხლის ბოლომდე. იესო ქრისტეს მოწყალებით, ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი მომადლოს თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს. ყველას გისურვებთ უფლის მადლით აღვსებას!**

**ღმერთს ებარებოდეთ, იხარეთ ორსავ სოფელსა შინა! სიყვარულით თქვენთვის მლოცველი“**





# ეს უნდა ვიცოდეთ!

## რა წერია უკრაინის ტომოსში და რით განსხვავდება ის დანარჩენი 14-სგან?

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომეამ, 5 იანვარს ხელი მოაწერა ტომოსს — დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს უკრაინის ახალი მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ სტატუსს.

### რა არის ტომოსი?

ტომოსი საეკლესიო დოკუმენტია. თუკი უწინ ტომოსი წარმოადგენდა ბრძანებულებას, რომელიც გამოიცემოდა სხვადასხვა მიზეზით, ბოლო რამდენიმე საუკუნეა, ტომოსი იქცა ამა თუ იმ რეგიონის ეკლესიის დამოუკიდებლობის დეკლარაციად. სწორედ ტომოსზე დაყრდნობით აყალიბებს ახალი ეკლესია თავის წესდებას — საეკლესიო კონსტიტუციას.

მართლმადიდებლობა ამჟამად 15 დამოუკიდებელ ეკლესიას ითვლის. უკრაინის გარეშე მათი რიცხვი 14-ს შეადგენდა. მათი ნაწილი ძველად ჩამოყალიბდა, ნაწილმა კი დამოუკიდებლობა ახლო წარსულში მოიპოვა, ძველი ეკლესიებისგან გამოყოფის გზით.

### რით არის განსხვავებული უკრაინის ტომოსი?

უკრაინის ტომოსის უნიკალურობა ის არის, რომ მასში მკაფიოდ არის განსაზღვრული ახალი ეკლესიის საზღვრები. აკრძალულია გაერთიანებების (თემების) არსებობა უკრაინის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, უკრაინელ მორწმუნეთა თემები დიასპორებში (ევროპა, აშშ, კანადა) მსოფლიო პატრიარქის დაქვემდებარებაში გადადის.

- უკრაინის ტომოსში პირველად გაიწერა კონსტანტინოპოლის პატრიარქის როლი უმაღლეს სააპელაციო ინსტანციად სადავო საკითხების გადაწყვეტისას;
- ტომოსში არის პუნქტები, რომლებიც კრძალავენ ეკლესიის სტატუსის, მისი ხელმძღვანელის ტიტულისა და ეკლესიის წესდების დამოუკიდებლად შეცვლას. ამის გაკეთება მხოლოდ კონსტანტინოპოლთან შეთანხმებით უნდა მოხდეს. ერთმანეთისგან განსხვავდება ყველა ტომოსი.

### როგორი ტომოსი აქვთ სხვა ქვეყნებს?

ზოგჯერ ტომოსში ეკლესიის ისტორიაა ასახული. მაგალითად, **სერბეთის** ტომოსში დეტალურად არის აღწერილი სერბების, ხორვატებისა და სლოვენიელების სამეფოს შექმნის ისტორია. მსგავსი პუნქტი აქვთ ასევე პოლონელებს, ჩეხებსა და სლოვაკებს.

**რუმინეთის** ეკლესიის ტომოსში, რომელიც მან 1885 წელს მიიღო, ცალკეა აღნიშნული, რომ ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობა კონსტანტინოპოლს სთხოვა „მისმა უდიდებულესობა რუმინეთის მეფემ და მისმა სამეფო ხელისუფლებამ “.

**საბერძნეთში** ტომოსი გამოიცა 1850 წელს, არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ადგილობრივი სამღვდელოებისა და მორწმუნეთა ოფიციალური თხოვნით. ეს დეტალი ასახულია ტომოსში. საბერძნეთის დოკუმენტი უნიკალურია იმითაც, რომ ის ადგილობრივ სინოდს ანიჭებს მორწმუნეთა განქორწინების რეგისტრაციის უფლებამოსილებას. მანამდე, განქორწინების მსურველებს კონსტანტინოპოლისთვის უნდა მიემართათ.

**უკრაინის** ტომოსში ნახსენებია ახალი ეკლესიის წინამძღოლი და უკრაინის პრეზიდენტი.

ტომოსებს აერთიანებს ის, რომ მათში მითითებულია ახალი ეკლესიის დასახელება და მისი წინამძღოლის ტიტული. ტომოსთა უმრავლესობის მიხედვით, უმაღლეს ხელისუფლებად დასახელებულია სინოდი — რამდენიმე ეპისკოპოსისგან შემდგარი კოლეგიური ორგანო, მინისტრთა კაბინეტის მსგავსი რამ.

ყველა ტომოსში ნათქვამია, რომ ეკლესიის ახალი მეთაურის არჩევის შემდეგ, მან წერილები უნდა გაუგზავნოს სხვა ეკლესიათა ხელმძღვანელებს — რწმუნებათა სიგელების გადაცემისა და ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების მსგავსად.

ყველა ტომოსში აღნიშნულია, რომ ახალშექმნილი ეკლესია და განსაკუთრებით — მისი მეთაური ვალდებულები არიან „წმინდად შეინახონ მართლმადიდებლური სარწმუნოება“.

RADIOTAVISUPLEBA.GE

# ადამიანებსა და ქვეყანაზე მოფიქრალი

**იშვიათად შეიძლება მოიძებნოს პიროვნება, რომელსაც თავისი ცხოვრება, შემოქმედება, ყველა საქმე საზოგადოებისთვის, ადამიანების კეთილდღეობისათვის იმ დოზით მიეცა, რაც ეს ფრიდონ თოდუამ გააკეთა.**

ცნობილი ექიმი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი მთელ თავის ცხოვრებას ადამიანთა ჯანმრთელობას სწირავდა. ვამაყობ, რომ მასთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა მქონდა. მე იგი დაახლოებით ამ ორმოცდაათი წლის წინ გავიცანი, როცა ბატონი ფრიდონი აკადემიკოს ალექსანდრე ვიშნევსკის გვერდით მოღვაწეობდა. სრულიად ახალგაზრდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლაბორატორიის ხელმძღვანელი იყო — პრაქტიკულად რადიოლოგიის დარგს ხელმძღვანელობდა...

ჩემი აზრით, თბილისში გადმოსვლის შემდეგ ფრიდონ თოდუამ ჭეშმარიტი სასწაული მოახდინა — შექმნა უახლესი ტექნიკითა და მაღალპროფესიონალი პერსონალით აღჭურვილი სამკურნალო ცენტრი. ამ კომპლექსს დღეს სრულიად დამსახურებულად „ფრიდონ თოდუას კლინიკას" უწოდებენ.

ბატონი ფრიდონი საზოგადოებრივად საოცრად აქტიური პიროვნება იყო. იგი ბევრს აკეთებდა ქვეყნის პარლამენტის ვიცე-სპიკერის თუ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ამპლუაში.

მთავარია, რომ იგი კაცი იყო, ადამიანებსა და ქვეყანაზე მოფიქრალი კაცი. არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები ვერ მალავდნენ მისდამი მადლიერებას. ფრიდონ თოდუაც ყოველთვის შემართული, მზად იყო ყველა შეჭირვებულის გვერდით დასადგომად. გვქონდა კარგი ტრადიცია. ყოველ იანვარს აღვნიშნავდით ფრიდონის დაბადების დღეს. ჩვენ წელსაც არ გამოვტოვებთ ამ დღეს. ვაი რომ, თავად ფრიდონ თოდუა ვეღარ იქნება ჩვენს გვერდით. სანუგეშოდ და საამაყოდ ერთი გვრჩება — მარად გვემახსოვრება ღირსეული ქართველი, მეცნიერი, მეგობარი, დიდი შემოქმედი, საოცარი მეოჯახე (მეუღლესა და შთამომავლობაზე უსაზღვროდ შეყვარებული) ფრიდონ თოდუა.

**როინ მეტრეველი,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი**

# მისი მთავარი ფასეულობა სამშობლოს მსახურება იყო!

აკადემიკოსს უნივერსალურ ადამიანზე იტყვიან. ნეტარხსენებული, **ფრიდონ თოდუა** ნამდვილად იყო ასეთი. ახალგაზრდა წავიდა ცხოვრებიდან, მაგრამ უმთავრეს მიზანს მიაღწია და ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, ფუჭად არ უცხოვრია ამ ქვეყანაზეო. მე ვმეგობრობდი მის მშობლებთან — იპოლიტე თოდუასთან და ნინა ცხადაიასთან. ამ უკანასკნელის მზრუნველობით იყო განსაკუთრებულად გარემოსილი ჩვენი ფრიდონი. ვისაც დედის სიყვარული და პატივისცემა ახასიათებს, იგი არასდროს დაიჩაგრება ცხოვრებაში. ახლა იტყვიან, დედიკოს ბიჭია, გოგლი-მოგლით გაზრდილიო, მაგრამ უფრო არსებითს მივაქციოთ ყურადღება ხალხური სიბრძიდან: დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლისფერი ძაღლიო. გამოუცდელობის გამო მარცხდებიან ასეთი ადამიანები, დედა კი მეხამრიდია ყველგან და ყველაფერში.

ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდები, როცა მე პრაქტიკული დახმარების გაწევა შემეძლო ადამიანებისთვის, მათ შორის ფრიდონისთვისაც, არასდროს დამზარებია ეს და არასდროს მხვდომია წილად მისგან უმადურობა.

ის მედიკოსზე გაცილებით დიდი მენეჯერი იყო. მას ხელეწიფებოდა ძირითადის დანახვა და საქმისთვის პრაგმატული მიმართულების მინიჭების გასაოცარი უნარი. ეროვნული ხელისუფლების დროს, ის რომ საქართველოში ჩამოვიდა ორ ათეულ კოლეგასთან ერთად, ბევრს გაუკვირდა — გამოაგდეს მოსკოვიდანო?! ჭკუა სად ჰქონდაო, მაგრამ მიმაჩნია, ფრიდონი გადაწყვეტილებების მიღებაში იშვიათად ცდებოდა, რადგანაც ასჯერ ზომავდა და ერთხელ ჭრიდა. ყველაზე ვაჟკაცური მის ცხოვრებაში გარკვეული წრეების მხილება იყო ქართველი ხალხის გენოციდში, რომელიც ქვეშქვეშურად ხორციელდებოდა წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში — პურ-პროდუქტები, გენმოდიფიცირებული ბოსტნეული, რის შედეგადაც ონკოლოგიურმა მაჩვენებელმა ყოველწლიურად თურმე 17 ათასს მიაღწია.

იგი არ მოერიდა მთავარ ფასეულობად სამშობლოს დასახელებას. მისი სიტყვებით მხოლოდ მამულში ეღირსება ადამიანი სრულფასოვან აღიარებას.

ის მართლმადიდებელი კაცი გახლდათ, მისი უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის დიდი ნდობით გამორჩეული და გასაკვირი არც არის უფლისმიერი გზებით რომ აუყვა აღმართებს მშობელი ერის უკვდავების საწინდრად.

**ოთარ ფაცაცია,**
**საზოგადოება „ზუგდიდელის" თავმჯდომარე, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე.**

# სახელისა და ხსოვნისადმი პატივისცემით!

**აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელმაც საფუძველი დაუდო ენდოვასკულარულ რენტგენო-ქირურგიას, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში ინტერვენციულ რადიოლოგიად მოიხსენიება. იგი მოიაზრება როგორც რადიოდიაგნოსტიკისა და თერაპიულ ქმედებათა კომპლექსი.**

საქართველოს ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 1991 წელს ფრიდონ თოდუა საქართველოში დაბრუნდა და დანერგა ეს უახლესი მეთოდიკა. დააარსა აგრეთვე ახალი დიაგნოსტიკური ცენტრი, რომელიც შემდგომში ასე იწოდებოდა: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ნოვატორული ხასიათის შესანარჩუნებლად მან თავის მოწაფეებს გადასცა თავისი აზროვნების უნარი. ევროპაში, ვენაში, ამერიკაში, ჩიკაგოში ან თუნდაც რუსეთში და სანკტ-პეტერბურგში, არ არის არც ერთი საერთაშორისო სამედიცინო კონფერენცია, სადაც ფრიდონ თოდუას მოწაფეები არ წარადგენენ თავიანთი მუშაობის უახლეს ნიმუშებს.

აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ უზარმაზარი წვლილი შეიტანა ცენტრალური ნერვული სისტემის კომპიუტერულ-ტომოგრაფიულ სემიოტიკაში, ასევე, ხერხემლისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, გულმკერდის და მუცლის ღრუს ორგანოების კოპიუტერულ-ტომოგრაფიულ კვლევაში. ფრიდონ თოდუა არის 500-ზე მეტი ნაშრომის, 8 მონოგრაფიის, 3 მეთოდური რეკომენდაციის, აგრეთვე 5 საავტორო მოწმობისა და 11 გამოგონების პატენტის ავტორი. აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა იყო პირველი საბჭოთა კავშირში — მუცლის ღრუს ორგანოების კომპიუტერული ტომოგრაფიის ატლასის თანაავტორი.



შეხვედრა ილჰამ ალიევთან

**ჯამილ ალიევი,**
**აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის დირექტორი.**

# ფრიდონ თოდუა დარჩა ჩვენს მეხსიერებაში როგორც კაცი-ლეგენდა!

**(ნაწყვეტი წერილიდან)**

რა სწრაფად გადის დრო.

მის შესახებ უკვე ხსოვნის წიგნი ისტამბება.

არადა, თითქოს გუშინ იყო... გუშინწინ... თავზე რომ მადგა და ძმასავით მგულშემატკივრობდა, მივლიდა როგორც სისხლს და ხორცს, ჩემს ტკივილს საკუთარივით განიცდიდა, ყველაფერს აკეთებდა, რომ...

გაოგნდებოდი კაცი, როცა აღმოაჩენდი, რომ, შენ არ იყავი გამონაკლისი; რომ ასეთი იყო ყველასთან, ვისაც თვლიდა მეგობრად და თანამოაზრედ, ქვეყნის კაცად...

ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მომიწია საექიმო საზოგადოებასთან ახლო კავშირი, ბევრს ვიცნობდი ძალიან კარგად იმათგან, ვისთვისაც არ არსებობდა პაციენტი „შინაური" თუ „გარეული"... მაგრამ, ფრიდონის დამოკიდებულება მასთან სამკურნალოდ თუ რჩევისთვის მოსული პაციენტისადმი, იყო აბსოლუტურად უნიკალური: ნებისმიერი პაციენტი მისთვის იყო მართლაც ახლობელი, ზრუნვისა და გულშემატკივრობის ობიექტი...

ჩემი თაობისთვის ლეგენდებად იყო ქცეული წინა თაობების დასტაქართა კოჰორტა: წინამძღვრიშვილი, ზურაბიშვილი, ჯანელიძე, ფიფია, კახიანი, სარაჯიშვილი, ბოჭორიშვილები, მართლა ლეგენდები... ფრიდონი სიცოცხლეშივე გახდა მათსავით ლეგენდა!!! ოღონდ, პაწია განსხვავებით: მათი უმრავლესობა კურნავდა. ფრიდონიც! ისევ, პაწია განსხვავებით, ოღონდ: ფრიდონი აშენებდა კიდეც. აშენებდა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. აი, ის ვეებერთელა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ხალხურად ჟღერს, როგორც „თოდუას კლინიკა", მისი შექმნილია. პირადად. იდეითაც და პრაქტიკულადაც. და ის ვეებერთელა კორპუსებიც, რომლებშიაც განთავსებულია ეს ვეებერთელა სამედიცინო ცენტრი, ფრიდონის აშენებულია. სიცოცხლის ბოლო წუთამდე, მოძრავი სისხლის ბოლო წვეთამდე, გონების დაკარგვამდე ქმნიდა და აშენებდა.

წავიდა და დატოვა დიდ ტკივილთან ერთად... სიცარიელე, რომელსაც ვერავინ ამოავსებს.

დიდი სიყვარულის, დიდი მზრუნველობის, დიდი პასუხისმგებლობის და საოცარი პროგრესის მატარებელი იყო, ანუ იყო... კაცი!!!

და დარჩა ჩვენს მეხსიერებაში როგორც კაცი-ლეგენდა!..

**ნუგზარ ფოფხაძე.**

# მეგობრობის მაგალითი

**ძვირფასო ქართველებო, პატივცემულო კოლეგებო!**

2019 წლის 9 იანვარს, 75 წელი უნდა შესრულებოდა საქართველოს გამოჩენილ შვილს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას. მე პირადად ვიცნობდი ამ ადამიანს და კარგად ვიცი მისი მიღწევები ჯანდაცვისა და სამედიცინო მეცნიერების სფეროში. იგი დიდი მეცნიერი გახდა მას შემდეგ, რაც დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი რუსეთში. განსაკუთრებით ბევრი რამ შეძლო მან სამედიცინო რადიოლოგიის განვითარებაში საბჭოთა კავშირის დროს პირველი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის რანგში.ასევე, როგორც ა. ბ. ვიშნევსკის ინსტიტუტის კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელმა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ფრიდონ თოდუა არ წყვეტდა კავშირს რუსეთთან და თავის რუს კოლეგებთან. ჩვენი მეგობრობის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ნ. ბ. სკლიფოსოვსკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს შორის აქტიური თანამშრომლობა. ჩვენ ვცვლიდით სამეცნიერო მიღწევების შედეგებს. მე ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთშიც დიდხანს ემახსოვრებათ ფრიდონ თოდუა, როგორც გამოჩენილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

**ანზორ ხუბუტია,**
**ნ. ბ. სკლიფოსოვსკის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სასწრაფო სამედიცინო დახმარების პრეზიდენტი**



ავსტრიელ პროფესორთან რაინერ რინმიულერთან

# დიდი ექიმის და კეთილი ადამიანის მონატრება

**არიან გარკვეული კატეგორიის ადამიანები, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებენ მათ გარშემო მყოფებზე. ასეთი გახლდათ ცნობილი ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი, აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა. მისი როლი თანამედროვე საქართველოში განუზომლად დიდია, რადგანაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის უმძიმეს 90-იან წლებში მან შეძლო, ჩამოეყალიბებინა ისეთი თანამედროვე სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც ანალოგი არ ჰქონდა და დღესაც არა აქვს მეზობელ სახელმწიფოებში. ამ კლინიკამ არა მარტო გააერთიანა საქართველოს წამყვანი ექიმები, არამედ ისინი აღჭურვა უახლესი სამედიცინო აპარატურით.**

დიდი დანაკლისია არა მარტო ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, კოლეგებისა თუ მოწაფეებისთვის, არამედ მთელი ჩვენი ქართველი საზოგადოებისთვის, რომ ბატონი ფრიდონი დღეს ჩვენ გვერდით აღარ არის. ის გამორჩეულად კეთილი ადამიანი იყო და ამას გრძნობდა ყველა, ვინც მას ესტუმრებოდა მის მიერვე დაფუძნებულ კლინიკაში.

კეთილი ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლას აუცილებლად მოსდევს მისი მონატრება და სწორედ ასეთი გრძნობა მეუფლება ბატონი ფრიდონის მიმართ. ეს გრძნობა კიდევ უფრო მიმძაფრდება, როცა მიწევს დღეს უკვე მისივე სახელის მატარებელ კლინიკაში ყოფნა - სულ იმის განცდა მაქვს, რომ დერეფანში შეგხვდება ტრადიციულად მომღიმარი სახის მქონე ბატონი ფრიდონი და უანგარო დახმარებას შემოგთავაზებს.

დიდია ბატონი ფრიდონის როლი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმართაც, როცა აკადემიისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის მთავრობა ძალ-ღონეს არ იშურებდა, დაენგრია მეცნიერების ეს მნიშვნელოვანი ცენტრი, აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ მოახერხა თავისი პროფესიის და პარლამენტში მაღალი თანამდებობის ისე გამოყენება, რომ აკადემია როგორც ინსტიტუცია საერთოდ არ დანგრეულიყო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ დაბადებიდან 75 წელს ის თავის ოჯახთან და კლინიკის კოლექტივთან, მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად ვერ აღნიშნავს. მართალია, ამ დანაკლისის შევსება შეუძლებელია, თუმცა აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ის, თუ როგორ განაგრძობს წარმატებით საქმიანობას ბატონი ფრიდონის მიერ შექმნილი სახელოვანი კლინიკა. მისი კოლეგები და მოწაფეები ღირსეულად აგრძელებენ იმ დიდ საქმეს, რასაც ბატონმა ფრიდონმა ჩაუყარა საფუძველი.

უფალმა გაანათლოს ბატონი ფრიდონ თოდუას სული!

ღმერთმა დღეგრძელობა და ჯანმრთელობა არ მოაკლოს მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებს!

**ვლადიმერ (ლადო) პაპავა,**
**აკადემიკოსი.**

# ამაგდარი

**ფრიდონ თოდუას საყოველთაოდ აღიარებული ცხოვრება და მოღვაწეობა მრავალმხრივ არის საყურადღებო და სამაგალითო. მას გამოარჩევდა ხასიათის სიმტკიცე და საქმისადმი სისტემური მიდგომა, რომელიც ყოველთვის მის მიერ დასახული გლობალური მიზნის მიღწევაზე იყო ორიენტირებული. წლების განმავლობაში მოსკოვში საქმიანობის შემდგომ მას თავიდან მოუწია ქართულ სინამდვილეში ადაპტირება, ათასობით კოლეგის, თანამდებობის პირის,რიგითი პაციენტის გაცნობა და მათ უმრავლესობაში ყურადღებიანი, პროფესიონალი ექიმი-დასტაქარის ავტორიტეტის დამკვიდრება. უნდა გაითვალისწინოთ, რომ იგი ჩვენთან რუსეთიდან 1990 წლის ბოლოს საქართველოს საბჭოთა პერიოდის ხელმძღვანელობამ მოიწვია. ცნობილია, რომ ეროვნულმა მთავრობამ იგი ერთ თვეში შეცვალა და ყველა წინასწარი დაპირება სათანადო სამუშაო თუ საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზე, ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა.**

და მაინც — ჩვენი მხარდაჭერით, სწორედ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის წინა დღეს, 1991 წლის 25 მაისს გაიხსნა უნიკალური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის მუშაობაც ურთულესი წლებისა და თავს დატეხილი პერიპეტიების მიუხედავად, ერთხელაც არ შეფერხებულა 27 წლის მანძილზე. ფრიდონ თოდუა შეუცვლელად იყო ამ ორგანიზაციის დირექტორი და მისი ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვისა და სათანადო კადრებით უზრუნველყოფის ორგანიზატორი. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პარალელურად, დიდი წინააღმდეგობებისა და დაპირისპირების ფონზე, ხდებოდა მისი აღმასვლა კარიერულ კიბეზე, სამეცნიერო, საზოგადო თუ პოლიტიკურ ასპარეზზე. ასე ჩამოყალიბდა ფრიდონ თოდუა ჯანმრთელობის დაცვის ცნობილ მოღვაწედ, რომელიც მუდამ დროულ და კვალიფიციურ დახმარებას უწევდა გასაჭირში ჩავარდნილ პაციენტებს.

მისი დაბადებიდან 75-ე წლისთავზე მინდა წარმოვაჩინო მისი, ცხოვრების კიბეზე მუდმივად აღმა მიმავალი პიროვნების გამორჩეული თვისებები,რამაც განაპირობა ესოდენ წარმატებული საქმიანობა,ასე ძვირფასი ყველასთვის, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ფრიდონ თოდუას მადლიანი ხელიდან თანადგომის მიღების საშუალება.

ბატონი ფრიდონი განასახირებდა დიდოსტატს, ვინაც რაღაც ფილიგრანული ხელოვნების წყალობით, პრაქტიკულად უშეცდომოდ გაიარა გზა შეგირდიდან ოსტატამდე, რამაც იგი ბედის მაძიებელი პროვინციელი ახალგაზრდიდან, საერთაშორისო და საერთოეროვნული მნიშვნელობის ფიგურა გახადა. სოციალიზმი ადამიანების წინაშე განსხვავებულ ამოცანებს აყენებდა, ვიდრე ეს დღეს არის აუცილებელი. თვისებათა ერთობლიობა იმდენად წინააღნდეგობრივია, რომ უმრავლესობამ ვერ შეძლო ხასიათში სათანადო გარდატეხის შეტანა და გარდასულ დღეთა ტყვეობაში დარჩა. ფრიდონ თოდუამ საოცრად მოკლე დროში განიცადა საჭირო მეტამორფოზა და მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად ააწყო ახალი, საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნებს მორგებული მრავალპროფილიანი სამედიცინო სერვისის დაწესებულება. ამ დიდ საქმეში მან ბოლომდე გამოიყენა თითოეული ჩვენგანის შესაძლებლობები, უნდა გენახათ, როგორი შემტევი და დაუდეგარი იყო იგი, ჩვეულებრივ ძალზე მორიდებული და თავშეკავებული, როცა საქმე საქმეს შეეხებოდა. ადამიანები ასეთ დროს მთხოვნელის როლს ირგებენ და წელში მოხრილი მიმართავენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ფრიდონი კი პირიქით. იგი მკაცრი სარკაზმით მოითხოვდა ყველანაირ, დასაშვებ თუ არადასაშვებ დახმარებას, თან დაამატებდა — ეს მალე თქვენვე დაგჭირდებათო...

და ასე თანდათან იქმნებოდა ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე აღჭურვილი სამედიცინო კვლევითი ცენტრი.

ერთ სტატიაში ვერ შევძლებ მეტის თქმას, ამიტომ ფრიდონ თოდუას გზის გამგრძელებლებს, მის ძალზე ნიჭიერ ახალგაზრდა შვილიშვილს გიორგის, მის შვილს ნინოს, მეუღლეს თათულის, ფრიდონ თოდუას სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეტად პროფესიულ შემოქმედებით გუნდს ვუსურვებ კარგად გაკვალული მიმართულებით წარმატებულ სიარულს. დამაიმედებელი კონტურები უკვე დღეს მოჩანს...

**ბაკურ გულუა**



ფრიდონის იმედი, შვილიშვილი გიორგი დიასამიძე

# ქართველი ერი მის ამაგს არასოდეს დაივიწყებს

**თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩის 11 ნომერში მდებარეობს აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკა. კლინიკის უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურება და მკურნალობის ხერხებისა და მეთოდების წარმატებული შედეგები საყოველთაოდ ცნობილია.**

ამ საკითხზე სიღრმისეულად ვერ ვისაუბრებ, რადგანაც განსხვავებული პროფესიის მქონე — მხატვარი გახლავართ და შესაბამისად, თავს ნებას მივცემ, კლინიკის შიდა სივრცის ესთეტიკურ მხარეზე გამოვთქვა ჩემი აზრი: პირველ სართულზე, მისაღებში შესვლისას გესმის კლასიკური მუსიკა როიალზე ცოცხალი შესრულებით, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის კედლებზე გამოფენილ ფერწერულ ტილოებს და იქმნება ისეთი ამაღლებული განწყობილება, რომელიც მყისიერად ამშვიდებს არა მარტო სტრესულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს, არამედ ნებისმიერ ადამიანს. ჩვენთვის, საბჭოთა ეპოქაგამოვლილი თაობისათვის, რომელთათვისაც სამკურნალო დაწესებულებათა კედლები ნაცრისფერი უსახურობის ნიმუშს წარმოადგენდა, უჩვეულო სიახლედ და მოულოდნელობად აღიქმება ასეთი გარემო; თუმცა რაღა მხოლოდ საბჭოთა — ასეთი განსხვავებული, მუსიკითა და ფერწერით გაჯერებული სივრცე გააოცებდა ალბათ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს.

მეორე სართულზე, სადაც ძირითადად ექიმთა კაბინეტებია განლაგებული, პაციენტთა მოსაცდელ კეთილმოწყობილ დარბაზსა და დერეფნებში ასევე მხატვრული ტილოების სილამაზე და შუქი იფრქვევა: აქ ასამდე ფერწერული ტილოა გამოფენილი, რომელთა ავტორები საყოველთაოდ ცნობილი, ერთმანეთისგან განსხვავებული ხელწერის მქონე მხატვრები არიან და შესაბამისად, მთელი ეს კოლექცია იმდენად მაღალმხატვრული და მრავალფეროვანია, რომ ის სამხატვრო გალერეის სტატუსს იმსახურებს.

ამ ყოველივეს შემქმნელი და სულისჩამდგმელია აკად. ფრიდონ თოდუა, რომელსაც დიდი ქართველი მოღვაწის სახელი როგორც სამედიცინო, ასევე სახვითი ხელოვნების სფეროში გაწეულმა ღვაწლმა დაუმკვიდრა. მის ამაგს ქართველი ერი არასდროს დაივიწყებს.

მქონდა ბედნიერება ბატონ ფრიდონთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობისა. ჩემთვის დაუვიწყარია ის უზომოდ დიდი ყურადღება, ადამიანური სითბო და მზრუნველობა, რასაც ეს დიდი ადამიანი იჩენდა ყველა მის ირგვლივ მყოფთა, და მათ შორის — ჩემს მიმართაც. ასეთი ადამიანების სახელი დავიწყებას არასოდეს ეძლევა.

**რადიშ თორდია,**
**საქართველოს სახალხო მხატვარი**

# ძნელია, ისაუბრო დიდ ადამიანზე, ვინც ჩვენს შორის აღარ არის!..

**...საოცარი ნიჭი, უზარმაზარი გამოცდილება დაკავშირებული დაუღალავ შრომასთან, ფართო განათლება, სამშობლოსა და თავისი კუთხის სამეგრელოს პატრიოტული სიყვარული.**

მისი მოღვაწეობა უპრეცენდენტოა მეცნიერულ ასპარეზზე. აღსანიშნავია ბატონი ფრიდონის არაჩვეულებრივი ორგანიზატორული თვისებები, რისი მაგალითიც მის მიერვე შექმნილი მისივე სახელობის სამედიცინო მეცნიერული ცენტრი გახლავთ.

მან თავი მოუყარა თანამოზრეების საქმინობას ადამიანთა ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ!

პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, უამრავი ჯილდოს და წოდების მფლობელი არა მარტო საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ხასიათი და ადამიანური თვისებები, ზნეობა, სისპეტაკე და ასე შემდეგ. მისთვის დამახასიათებელი იყო ფართო სპექტრის საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ბატონმა ფირდონმა შექმნა არაჩვეულებრივი გარემო პაციენტთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მან ცენტრის ვესტიბიულები გადააქცია საგამოფენო სივრცედ, გალერეად, სადაც ექსპონირებულია წამყვანი ქართველი ხელოვანების შესანიშნავი ნაწარმოებები.

ამ ქმედებით მოხდა მის მიერ მეცენატობის ხაზგასმა, რითაც მრავალ მხატვარს მოუმართა ხელი.

საოცრად მოყვარული მეუღლე, მამა და ბაბუა.

ჩვენ მეგობრები და ახლობლები დარწმუნებული ვართ, რომ მისი შვილიშვილი გიორგი, ღირსეულად გააგრძელებს დიდი ბაბუის საქმეს.

**გია ჯაფარიძე,**
**საქართველოს დამსახურებული მხატვარი,**
**ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე**

ზღაპრის სამყარო

# ტრაგიკული ცხოვრების ზღაპრული უკვდავება



**საქვეყნოდ ცნობილი კინოკომპანია „უოლტ დისნეი პროდაქშენის“ აუარება შესანიშნავ მულტფილმს შორის, როგორც პატარების, ასევე დიდების ერთ-ერთი უსაყვარლესი, უდავოდ, „პინოკიოა“. ამ ცნობილი იტალიური ზღაპრის ავტორი კარლო კოლოდია, თუმცა კი ხის თოჯინის ამბავი მის შექმნამდე გაცილებით ადრე დაიწყო, როცა 1790 წელს ფლორენციაში სანჩესების ღარიბ ოჯახში ბიჭუნა დაიბადა.**

სამი წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ბავშვი, რომელსაც სახელად პინოკიო დაარქვეს, რაც ტოსკანურ დიალექტზე „ნაძვის გირჩს“ ნიშნავს, ჯუჯაა. თუმცა, პინოკიო კირკიტა კაკალი გამოდგა და თანატოლებს ტოლს არ უდებდა. მეტიც, 18 წლის ასაკში ჯარში წავიდა და პოლკის მედოლე გახდა. პინოკიო სანჩესი ომიდან ისეთი დასახიჩრებული დაბრუნდა, რომ კაცის გადანაჭერს უფრო ჰგავდა: სამხედრო წვრთნების დროს იგი კლდიდან გადავარდა, ორივე ფეხი მოიტეხა და ცხვირი დაილეწა, თუმცაღა, ცოცხალი გადარჩა. იმხანად ფლორენციაში არაჩვეულებრივი ექიმი **კარლო ბესტულჯი** ცხოვრობდა, რომელმაც უჩვეულო პაციენტს არა მარტო ფეხების პროტეზები გაუკეთა, არამედ ცხვირის მაგივრად ხის ჩასადგმელიც გამოუჩორკნა. ამ „ნახევრად ხის“ კაცუნას ბედი არა მხოლოდ რთული, არამედ სევდიანიც აღმოჩნდა. სამსახურში არავინ იღებდა, ახლობელიც აღარავინ ჰყავდა, სადემობილიზაციო ფულიც შემოეხარჯა და ამიტომაც მშიერი დადიოდა. გულმოწყალე მეზობლები მადლისთვის ზოგჯერ საჭმელს აწვდიდნენ, მაგრამ თავადაც ბევრი არაფერი ებადათ...



ერთხელაც, ლუკმა-პურის ძებნაში პინოკიო სანჩესი ბაზარში წავიდა და თავისდა საბედნიეროდ საჭმელთან ერთად სამუშაოც იშოვა. იგი ბალაგანში აიყვანეს, სადაც იმხანად მაყურებელთა შორის დიდად პოპულარული იყო უჩვეულო გარეგნობის ადამიანთა ჩვენება, „ხის კაცუნას“ კი მოხეტიალე ცირკის მეპატრონესთვის კარგი შემოსავლის მოტანა შეეძლო. მართლაც, პინოკიო ცირკის ვარსკვლავი გახდა, ხალხი ხალისით დადიოდა პატარა კაცუნას საცქერლად, რომელიც ნაირ-ნაირ ტრიუკებს აკეთებდა. ამავე ცირკში ერთ-ერთი ტრიუკის შესრულების დროს პინოკიო სანჩესი ჩამოვარდა და ასე ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.



აი, ასეთი სევდიანი და სრულიად არაზღაპრულია კარლო კოლოდის **(„კოლოდი“ კარლო ლორენცინის ფსევდონიმია — ავტ.)** ულამაზესი ზღაპრის პროტოტიპის ცხოვრების ისტორია.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამ შემთხვევის წყალობით მიაგნეს პინოკიო სანჩესის საფლავსაც: 2001 წელს ამერიკელი არქეოლოგები იტალიელ კოლეგებთან ერთად ფლორენციისა და პიზის მახლობლად გათხრებს აწარმოებდნენ და ერთ დღეს ეკლესია სან-მინიატო-ალ-მონტესთან სასაფლაო მოინახულეს, სადაც მათი ყურადღება კარლო ლორენცინის საფლავის ქვამ მიიპყრო, რომელზეც ეწერა, რომ იგი უფრო ცნობილი კარლო კოლოდის — მსოფლიოში ცნობილი ზღაპრის „პინოკიოს თავგადასავალი — ხის თოჯინის ამბავის“ ავტორის სახელით იყო ცნობილი. შემდეგ მათ განაგრძეს სასაფლაოს დათვალიერება და უცებ, საფლავის ფილას მოჰკრეს თვალი, რომელზეც ამოკვეთილი იყო: **„პინოკიო სანჩესი, 1790-1834“**. მეცნიერებმა იფიქრეს, რომ ეს არ შეიძლებოდა უბრალო დამთხვევა ყოფილიყო, ამიტომ, ყველაფრის საგულდაგულოდ გარკვევა გადაწყვიტეს: ვინ იცის, იქნებ კოლოდის გვერდით მისი ცნობილი ზღაპრის პროტოტიპი მარხია? ლიტერატურათმცოდნეობისთვის ხომ ყველა წვრილმანს მნიშვნელობა აქვს! მრავალი მცდელობის შემდეგ, მათ შეძლეს სასწაულებრივად გადარჩენილი საეკლესიო არქივებში შავ ხელნაწერთა მიგნება, ბოლოს კი საფლავის გახსნის უფლებაც მოიპოვეს, სადაც „ხის კაცუნას“ ნეშტს მიაგნეს. ოსტატურად შესრულებულ ერთ-ერთ პროტეზს კი კარლო ბესტულჯის დამღა ამშვენებდა. თანაც, ცხვირის მაგივრად პინოკიო სანჩესს ხის ჩასადგმელი ჰქონდა.

თუმცა კი იმის მთავარი არგუმენტი, რომ არქეოლოგების მიერ გახსნილ საფლავში მართლაც კარლო კოლოდის უკვდავი ზღაპრის პერსონაჟის პროტოტიპის ნეშთია, მაინც ერთი ძველი, მე-19 საუკუნის შუა ხანებით დათარიღებული წერილი გახდა, რომელიც მკვლევარებს ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტმა მიაწოდა, რომელსაც ამ შინაარსის ბარათი ახლდა: **„მე კარლო ლორენცინის ბიძაშვილის შთამომავალი ვარ. ჩვენ გვარში მიღებული არ არის ძველი წერილების განადგურება, იმიტომ, რომ მათ ჭეშმარიტ დოკუმენტურ ისტორიად მივიჩნევთ. ამიტომაც, შემონახულია კოლოდის მიერ გამოგზავნილი ფოსტაც. მკვლევართა ძიების ამბავი რომ გავიგე, მივხვდი, რომ, რასაც ეძებთ, ის სწორედ ჩემს ხელთაა. მე უკვე ასაკოვანი კაცი ვარ, სახლიდან გასვლა მიჭირს, ამიტომ, მეცნიერებს გადაეცით, რომ სტუმრად ველი.“**

თავად იმ გაყვითლებულ ქაღალდზე შემორჩენილი წერილის ამონარიდი კი შემდეგი გახლავთ: **„...ძვირფასო ბიძაშვილო, ჩემს უახლოეს გეგმებზე მეკითხები, წინა წერილში მე ერთი უბედური და დიდი ვაჟკაცი კაცის — პინოკიო სანჩესის ამბავი გიამბე, ძალიან მინდა, მის შესახებ დავწერო. თავდაპირველად სერიოზული რომანის დაწერას ვაპირებდი, მაგრამ რატომღაც ბავშვისთვის ზღაპრის დაწერა დავიწყე. რატომ მაინცდამაინც ზღაპრის, თავადაც ვერ გამიგია. პინოკიოს ცხოვრება ხომ ზღაპრული კი არა, ტრაგიკული იყო. საბოლოოდ რა გამომივა, არ ვიცი...“**

ას წელზე მეტი ხანია, რაც გულკეთილი ხის კაცუნას ზღაპრული ამბავი მსოფლიოს ყველა კუთხეში იციან და უყვართ. ტოსკანაში კი მსოფლიოში მნახველთა რაოდენობით ერთ-ერთი გამორჩეული, ზღაპრის მუზეუმი მოქმედებს. იუნესკოს მონაცემებით „პინოკიოს თავგადასავალი“ მსოფლიოს 240 ენაზეა ნათარგმნი! უოლტ დისნეის ნახატმა ფილმმა „პინოკიომ“ ორი ოსკარი მიიღო. კარლო კოლოდის მშობლიურ ქალაქ ფლორენციაში კი... პინოკიოს ძეგლი დგას, რომელსაც ეს წარწერა ამშვენებს: **„უკვდავ პინოკიოს — 4-დან 70 წლის ასაკამდე მადლიერი მკითხველებისგან“**.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძემ**

## თავს ზედმეტად ნუ გადაიღლით, კაცებო!



**ჭარბი ფიზიკური აქტივობა მამაკაცებში უეცარი სიკვდილის ალბათობას 18 პროცენტით ზრდის.**

მეცნიერებმა ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანების სამედიცინო მონაცემები გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა ორგანიზმის ცვეთას იწვევს და მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქალებზე ფიზიკური დატვირთვები დადებითად მოქმედებს.

## დაეხმარეთ თქვენს მეუღლეებს, თავსაც უშველეთ!

**თამბაქოს მოწევისთვის თავის დანებება... მთელი ოჯახით ყოფილა უკეთესი, ესაა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის მეცნიერთა კვლევების შედეგად მიღებული დასკვნა.**



აღმოჩნდა, რომ თამბაქოს მწეველ ქალთა 50 პროცენტმა სიგარეტის გადაგდება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლო, რაც ეს მავნე ჩვევა ქმარმაც მოიშორა.

იმ ქალბატონებში კი, რომელთა ქმრებმა ამის გაკეთება ვერ შეძლეს, ან არ მოისურვეს, ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 8 პროცენტი შეადგინა.

## პროფესიის „ბონუსი“



**ყველაზე კარგი მეხსიერება და რეაქცია მუსიკოსებს აქვთ. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მუსიკოსები გადაწყვეტილებებს სხვა პროფესიების წარმომადგენელზე 0,5 წამით უფრო სწრაფად იღებენ, თანაც იმახსოვრებენ არა მხოლოდ სიტყვებს, არამედ გამოსახულებებსაც.**

მთელი ინფორმაცია მუსიკოსებს თავის ტვინში ხანგრძლივი მეხსიერების უბანში უგროვდებათ, საიდანაც, საჭიროების შემთხვევაში, უმალვე იყენებენ.

## მერე რა, რომ „მყრალია“...

**ნიორს მუდამ „დიდ პატივს“ სცემდნენ: ძველ ეგვიპტეში ის მონების მენიუს აუცილებელი კომპონენტი იყო — მიჩნეული იყო, რომ მისი მოხმარება პირამიდების მშენებლობაზე მომუშავეებს ჯანმრთელობას უნარჩუნებს.**

მონები, რომლებიც ნივრის დანამატს იღებდნენ, ნაკლებს ავადმყოფობდნენ, მეტ ხანს ცოცხლობდნენ და ამით მეპატრონეების სახსრებს ზოგავდნენ — ნიორი ხომ მონაზე გაცილებით იაფი ღირდა.



თუმცა ეგვიპტელები სულაც არ მიიჩნევდნენ ნიორს მარტო მდაბიოთა ბოსტნეულად: ფარაონებს აკლდამებში ნივრის თავებს აყოლებდნენ.

ნიორს შუა საუკუნეებშიც მიაგებდნენ პატივს: რაინდებიც, დიდებული ქალბატონებიც და მდაბიო გლეხებიც მუდამ ნივრის კბილებს დაატარებდნენ, რომ თავი გათვალვისგან დაეცვათ.

## თავგზის ამბნევი სიჭარბე



**ძალიან დიდი არჩევანი ხელს უშლის სწორი არჩევანის გაკეთებას. ექსპერიმენტის შედეგებმა აჩვენა, რომ როცა ადამიანი საქონელს ათი დასახელებიდან ირჩევს, იგი ექვსჯერ უფრო ხშირად ყიდულობს, ვიდრე მაშინ, როცა არჩევანის გაკეთება 24 დასახელებიდან უწევს.**

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ვარიანტების სიჭარბე ყოყმანის პროვოცირებას ახდენს და ხელს უშლის გადაწყვეტილების მიღებას.

◉ როს წერეთელი ჩამობრძანდა პეტერბურგიდან...

# „რა პატარა ქვეყნიდანა, რა დიდია“!..

**ახალი წლის წინა დღეებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში ელინოლოგიის მესაძირკვლის, პაპიროლოგისა და ლინგვისტის, პოეტისა და მთარგმნელის, საოცარი ბედის მქონე რეპრესირებული პიროვნების გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის სახელობის აუდიტორია. აქვე გაიმართა პროფესორ ვალერი ასათიანის შესანიშნავი წიგნის „კლასიკოსის“ წარდგენა-კურთხევა, ანუ, როგორც დღეს „ევროპულად“ ვამბობთ — პრეზენტაცია. წიგნი ეძღვნება დიდი ელინისტის შემოქმედებასა და მოღვაწეობას.**

შეხვედრა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსებმა როინ მეტრეველმა, რისმაგ გორდეზიანმა, თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თინა დოლიძემ, პროფესორებმა სალომე ყუბანეიშვილმა, მინდია უგრეხელიძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნელი მახარაძემ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ, ჟურნალისტმა დემიკო ლოლაძემ, უნივერსიტეტის სტუდენტმა ნინო ღლონტმა.




წიგნის ავტორი ვალერი ასათიანი ისეთივე აღმაფრენით და ერთი ამოსუნთქვით გაესაუბრა პროფესორ-მასწავლებლებით, მოწვეული ძველი უნივერსიტეტელებით და ახლანდელი სტუდენტებით გადაჭედილ აუდიტორიას, როგორი აღმაფრენითაც ეს 550-გვერდიანი წიგნი შეიქმნა.

> არ მავიწყდება ბატონი რისმაგ გორდეზიანის მრავლისმეტყველი შეფასება: ჩვენმა ვალერი ასათიანმა დიდ კლასიკოსზე მართლაც კლასიკური წიგნი დაწერა, ეს ნაშრომი ქართული ელინოლოგიური სკოლის შენაძენია...

ამ შეფასებით ყველაფერია ნათქვამი. პროფესორმა ვალერი ასათიანმა თავისი მეცნიერული კეთილსინდისიერებით და პუბლიცისტური სიმახვილით სწორედ ისეთი წიგნი შექმნა, როგორიც გრიგოლ წერეთელს ეკადრებოდა.

მაინც, ვინ იყო ეს ერთ-ერთი პირველი, ევროპული სამეცნიერო ცენტრებში აღიარებული რაჭველ თავადთა (მისი მამა-პაპანი ამბროლაურის რაიონის სოფელ ზნაკვადან იყვნენ) წარმომადგენელი გრიგოლ წერეთელი?!

**„მშვენება ჩვენი უნივერსიტეტისა და აღორძინების მონაწილე“** — წერდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც პირადად მოიწვია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად გამზადებული, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის თავკაცი ახლად ფეხადგმულ ქართულ უნივერსიტეტში და...

გრიგოლ ფილიმონის ძემ რამდენიმე თვეში მიატოვა საოცარი კარიერა, უზარმაზარი იმპერიის დედაქალაქს შეჩვეული გარემო და თბილისს მოაშურა.

სამშობლოში დაბრუნდა მეცნიერების კეთილშობილი რაინდი, სულით არისტოკრატი, ულამაზესი, რომანტიკული, პოეტური სულის პოლიგლოტი (ბრწყინვალედ ფლობდა ევროპულ ენებს, თარგმნიდა ლათინურიდან, რუსულიდან და გერმანულიდან)...

**„თვით მისი სიარული ქუჩაში ქოლგა-ხელჯოხითა და პორტფელით ძალიან მიაგავდა ოლიმპოდან მიწაზე ჩამოსული ღმერთკაცის სულს. იგი თითქოს ამართლებდა ადამიანის ჯიშის მოვლინებას ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე“,** — წერდა აკაკი გაწერელია.

გრიგოლ წერეთლის სტუდენტების აღიარებით, მისი ლექციები აბსოლუტურად გამორჩეული და ყველასგან განსხვავებული იყო. იგი კითხულობდა შესანატრი აღმაფრენით, გულწრფელობით და დამაჯერებლობით.

> 1924 წელს თბილისის დედაუნივერსიტეტმა გრიგოლ წერეთელი მიავლინა იტალიაში, ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლის იუბილეზე. ლათინურ ენაზე წაკითხულმა მისმა ვრცელმა მისალმებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოს მაშინდელ მეცნიერულ ელიტაზე.

„ამ კაცის სახით ირწმუნეს სრულიად ახალგაზრდა თბილისის უნივერსიტეტის ძალა, ღირსება და ევროპული დონე“, — წერდა შემდეგ პროფესორი სოლომონ ხუციშვილი.

...2014 წლის 24 დეკემბერს მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში სიმბოლური საფლავის მემორიალურ სტელაზე სახელოვან მამულიშვილთა — **სანდრო ახმეტელი, ტიციან ტაბიძე, ევგენი მიქელაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, პეტრე ოცხელი, დიმიტრი შევარდნაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი — გვერდით ამოიტვიფრა 1939 წელს გამქრალი „მავნებელი“ გრიგოლ წერეთლის უკვდავი სახელი.**

ამ უკვდავყოფის ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო შესანიშნავი წიგნის „კლასიკოსის“ ავტორი ვალერი ასათიანი.

დღესაც ლეგენდასავით დადის რეპრესირებული გრიგოლ წერეთლის ბოლო სასამართლოს ამბავი...

**გრ. წერეთლის დამცველი:** პროფესორი გრიგოლ წერეთელი მეცნიერია და ის ერთგულად ემსახურება საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა ხალხს!

**გრ. წერეთელი:** მე ერთი წუთითაც არ მიმსახურია საბჭოთა ხელისუფლებისთვის. მე ვემსახურები ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს!..

ვიდრე დახვრეტდნენ, გრიგოლ წერეთელს საოცარი სინათლე ჩაუტანია ციხის ჯურღმულებში და თავისი ლექციებით სიკვდილი გაუდვილებია იმედგადაწურული პატიმრებისთვის...

მართალი, პრინციპული, შეუვალი, მაგალითი შთამომავლობისთვის!..

მოდი და ნუ გაგახსენდება მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: **„რა პატარა ქვეყნიდანა, რა დიდია“!..**

რა დიდი მეცნიერი, პიროვნება და ოლიმპოდან მიწაზე ჩამოსული ღმერთკაცი ყოფილა ეს გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი!

გმადლობთ, ბატონო ვალერი, რომ ასე ახლოს გაგვაცანი ეს ღმერთკაცი!..

**სპარტაკ ქოზულია.**

**P. S. წიგნი გამოიცა პროგრამა „ლოგოსის“ ხელდასხმით. წიგნის რედაქტორია ქეთევან აბესაძე, რეცენზენტი იამზე გაგუა. გულწრფელი მადლობა ავთანდილ წერეთელს წიგნის გამოცემაში თანადგომისთვის.**




# ნანი და ასაკი?!

## ფიქრები ტელეკომპანია „იმედის“ ეკრანთან

ვიცი, განუმეორებელია.

მაინც მეგონა, რომ ამ ასაკში ვერ გარისკავდა.

მაგრამ ასაკი და ნანი?!

„რუსთაველი და მშვიდი?!

დამშვიდება და ვაჟა?!“

დიახ, გარისკა და დაამტკიცა, რომ მართლაც ლეგენდას ქმნის.

თუ უკვე შექმნა?!

80 წლის მომღერალი „ბლექ სი არენას“ უშველებელ დარბაზში!

(ისე, „შავი ზღვის არენა“ რატომ არ მოგვწონს?!)

* * *

სანიმუშო იყო კონცერტის რეჟისორული გააზრება.

თითქოს, დოიაშვილის ხელწერა ვიგრძენი, თუმცა, ბოლოს ტიტრებში მისი გვარი ვერ დავინახე.

მოკლედ, ჭკვიანურად იყო გააზრებული:

თითქმის ყველა სიმღერა სპექტაკლივით თამაშდებოდა.

კონცერტი — სანახაობა!

რატომაც არა, როცა სცენაზე ნამდვილი დედოფალი დგას — არა მხოლოდ საშემსრულებლო ოსტატობის, არამედ ზოგადად გემოვნების მეტრი და კანონმდებელი, ულამაზესი კაბა — შედევრებით...

* * *

რეჟისურის ნაწილი იყო ჩართული დიალოგებიც, დიდი ეკრანიდან რომ ვისმენდით.

შვილიშვილს ესაუბრებოდა — ნატალია ქუთათელაძეს.

აქ უკვე პიროვნება გამოჩნდა.

ცოცხალი ადამიანი ვარო...

რა თქმა უნდა, მიყვარდაო...

მიყვარდა და არაფერიო...

მარტო უნდა ვყოფილიყავიო...

ასეთია ჩემი ბედიო...

სიკვდილის არ მეშინიაო...

ბებერი არ უნდა მნახონო...

ჩუმად უნდა წავიდეო...

აქ ნატალია ატირდა.

კინაღამ — მეც...

* * *

მაგრამ მან ხომ უკვე დაამარცხა ასაკი და „ასი წლისაც არ იქნება ბებერი“...

კონცერტი „განთიადით“ დაამთავრა.

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ“...

სხვათა შორის, „დედაშვილობას“ ამბობს, მაგრამ ეს ხომ ბევრს ეშლება, ლიტერატორებსაც...

ერთხელ დავწერე: „ყველაფერს ღვთიური კანონზომიერება წარმართავს: საქართველოში ჯერ უნდა დაბადებულიყო აკაკი და დაეწერა „განთიადი“ , რომელსაც ნოდარ დუმბაძე პირდაპირ ღმერთის ბაგეებიდან გადმოსულს უწოდებდა; შემდეგ უნდა გაჩენილიყო რეზო ლაღიძე და ამ ლექსზე ასევე ღვთაებრივი მელოდია შეექმნა და იქვე უნდა ყოფილიყო ამ სიმღერის უბადლო შემსრულებელი — ნანი ბრეგვაძე“...



რა საოცარია: სხვა დროს ხმა, ცხადია, „უთვალავი ფერით“ აღარ მოსდევს, მაგრამ ამ სიმღერის შესრულებისას ისევ „იმ“ ნანიდ გადაიქცევა ხოლმე.

ამჯერადაც...

ის მართლაც ქმნის ლეგენდას.

**იოსებ ჭუმბურიძე,**
**2 იანვარი, 2019 წ.**

# „ვერაგობა და სიყვარული“

**9 თებერვალს დრეზდენის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქართველი რეჟისორის დათა თავაძის სპექტაკლის პრემიერა გაიმართება. დათა თავაძე დრეზდენის თეატრში ფრიდრიხ შილერის დრამას „ვერაგობა და სიყვარულს“ წარმოადგენს.**

**აღსანიშნავია ისიც, რომ სპექტაკლს მუსიკალურად ქართველი კომპოზიტორი ნიკა ფასური გააფორმებს. მუსიკა სპექტაკლის მიმდინარეობისას ცოცხლად შესრულდება.**

**გერმანულ თეატრში ეს დათა თავაძის პირველი ნამუშევარი არ არის. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში გაიმართა თავაძის სპექტაკლის „ვეფხვი და ლომი“ პრემიერა, რომელიც ქართველი დრამატურგის დავით გაბუნიას პიესის მიხედვით კარლსრუეს თეატრის დასმა წარმოადგინა.**



**გერმანული დრამატურგიის კლასიკურ ნიმუშად აღიარებული დრამა „ვერაგობა და სიყვარული“ ფრიდრიხ შილერმა 1784 წელს დაწერა.**

ფარიკაობა

# არც მედალი ჩანდა მიუწვდომელი

**სხვადასხვა ქვეყნის 304 წარმომადგენელი (152-152 ქალ-ვაჟი) მონაწილეობდა უნგრეთის დედაქალაქში გამართულ ახალგაზრდების მსოფლიოს თასზე - დიორდ გურევიჩის მემორიალში. შეჯიბრებაში სამი ქართველი მოხმალავეც (მწვრთნელი ალექსანდრ ტორჩუკი) იბრძოდა მედლებისთვის — ლიკა ჯიჯეიშვილი, ვაჟა რეჭია და ნიკა შენგელია.**

შარშან 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატში ლიკა ჯიჯეიშვილმა მე-6 ადგილი დაიკავა. ბუდაპეშტში მან ჯგუფში ექვსიდან ხუთ მეტოქეს მოუგო — ვირად კობრას (უნგრეთი, 5:1), ლიზა რუეტგერსს (გერმანია, 5:1), კლაუდია მალგრემს (ჰოლანდია, 5:2), ანა ვანკოვას (რუსეთი, 5:1), ანა კუდერს (საფრანგეთი, 5:1) და ერთადერთი შეხვედრა იტალიელ ჯულია არპინოსთან წააგო ერთი ჩხვლეტით — 4:5, ამიტომ პლეი-ოფში პირველი წრიდანვე ჩაება, სადაც ავსტრიელ ევა-მარია გუტშის წარმატების იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა — 15:4 გაიმარჯვა. მომდევნო წრეში კატია ბატორის (უნგრეთი, 15:14) მძლეველ მარია მატეს (რუმინეთი) შეხვდა და 15:10 მოუგო. მერვედფინალში უკრაინელი ოლექსანდრა ბონდარი (15:11), ხოლო მერვედფინალში ფრანგი კოლინ სუზანი (15:14) ჩამოიშორა გზიდან. ფრანგი ახალგაზრდებს შორის პირადში ევროპის ჩემპიონატის მეხუთეადგილოსანი და გუნდურში ვერცხლის პრიზიორია. ჩვენებურმა საუკეთესო ოთხეულში შესასვლელი შეხვედრა 20-წლამდელებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსან ლიზა გეტესთან (გერმანია) დათმო 11:15 და მე-6 ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. ლიზა პუშტაი (უნგრეთი), 2. კატლინ მაქსველი (დიდი ბრიტანეთი), 3. ლიზა გეტე (გერმანია) და იოანა ილიევა (ბულგარეთი).



ვაჟებში შარშანდელი გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანმა ვაჟა რეჭიამ ექვსივე ჯგუფური შეხვედრა მოიგო. სტარტზე ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონს, უნგრული ტურნირის მომავალ ფინალისტ ვლადისლავ პოზდნიაკოვს (რუსეთი) სძლია დაძაბულ პაექრობაში 5:4. შემდეგ დაამარცხა ფრანსისკო არელანო (ესპანეთი, 5:0), ლუკა ფიორეტო (იტალია, 5:4). როლანდ პაპი (უნგრეთი, 5:1), კრისტიან ჰიგარტი (ირლანდია, 5:2), ტანგუ დესმო (საფრანგეთი, 5:3) და პირდაპირ 64 საუკეთესოში მოხვდა, ამიტომ პლეი-ოფის პირველ წრეში თავისუფალი იყო. მეორეში ჯულიან რიჩარდსი (დიდი ბრიტანეთი) დაჯაბნა — 15:11, შემდეგ მის კვალს გაუყენა იტალიელი მატია რეა — 15:13 და 16 საუკეთესოში დაიბევა ადგილი. აქ კი ბრიტანელ იან რენს სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია — 8:15 დამარცხდა და მე-10 ადგილი დაიკავა. 23-წლამდელებში ევროპის 2018 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ნიკა შენგელია 69-ე ადგილს დასჯერდა. პირველი-მესამე ადგილები ასე განაწილდა: 1. მატეო ნერი (იტალია), 2. ვლადისლავ პოზდნიაკოვი (რუსეთი), 3. ლორენცო რომა (იტალია) და ჟულის ჟერაუდი (საფრანგეთი).

**ლექსო ცინცაძე**

ძალოსნობა

# ფარდის დაშვებამდე



**80-ზე მეტი სხვადასხვა სინჯის ჯილდო მოიხვეჭეს შარშან ქართველმა ძალოსნებმა საერთაშორისო სარბიელზე გასული წლის მიწურულს თავი გამოჩინეს ჭაბუკებმა, რომლებმაც საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელ ზურაბ ანთაურის ხელმძღვანელობით ბაქოში აზერბაიჯანის ეროვნული გმირის — შახბაზოვის სახელობის ტურნირზე ხუთი მედალი მოიპოვეს, თან რამდენიმე რეკორდიც დაამყარეს.**

გურამ გიორბელიძემ (67 კგ) 117 კილო აიტაცა, 151 კილო აკრა და ორჭიდში 268 კილოგრამით ოქროს მედალი დაიმსახურა. აკვრაში მან ჭაბუკთა საქართველოს რეკორდი კილოგრამით გააუმჯობესა, ხოლო ევროპულ სტანდარტს 2 კილოთი გადაამეტა. მსოფლიოს ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონმა არჩილ მალაყმაძემაც (73 კგ) ორჭიდში 298 კილოგრამით ოქროს მედალი მოიპოვა. მან 140 კილოგრამი აიტაცა, ანუ საქართველოს რეკორდზე კილოგრამით, ხოლო მსოფლიოს სტანდარტზე 2 კილოგრამით მეტი, აკვრაში კი 158-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა.

საქართველოს დელეგაციას მესამე ოქროს მედალი ორჭიდში 317 კილოგრამით ლომია თებიძემ (81 კგ) მოუტანა. მან 137 კილოგრამი აიტაცა და 180 კილოგრამი აკრა, რითაც ამ მოძრაობაში ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა რეკორდი 1 კილოთი გააუმჯობესა, ხოლო ევროპულ სტანდარტს 10 კილოთი გადაამეტა. თანაგუნდელებს მხარი აუბა თორნიკე ტაბატაძემაც. +102 კილოში მას 346 კილოთი უმაღლესი სინჯის მედალი ერგო. თორნიკემ 181 კილო აკრა, 165 კილო აიტაცა და საქართველოს რეკორდი 2 კილოგრამით გააუმჯობესა, რაც მსოფლიო და ევროპულ სტანდარტებზე 3 კილოგრამით მეტია.

ასევე, მძიმე წონაში აკაკი ტალახაძემ (+102 კგ) ატაცსა (145 კგ) და აკვრას (184 კგ) კარგად გაართვა თავი და ორჭიდის ჯამში 329 კილოგრამით ვერცხლის მედალი ერგო. — მასპინძლებმა ასპარეზობისა და დასვენებისთვის შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს, — გვითხრა **ზურაბ ანთაურმა**. — მიუხედავად იმისა, რომ ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, ჩვენმა ათლეტებმა წარმატებით იასპარეზეს და ბაქოს ფიცარნაგზე მიღწეული გამარჯვება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ტრაგიკულად დაღუპული გენერალური მდივნის რამაზ გურგენიძის ხსოვნას მიუძღვნეს. ბიჭები შეჯიბრებაზე შავი ბაფთებით გავიდნენ, ხოლო მასპინძლებმა ტურნირზე გურგენიძის გარდაცვალებას წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი. რაც შეეხება ევროპულ სტანდარტებს გადამეტებულ შედეგებს, ისინი, სამწუხაროდ, კონტინენტის მიღწევებად არ ჩაითვლება, რადგან ბაქოში გამართული შეჯიბრება საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში არ იყო შეტანილი. ყოველივეს მიუხედავად, მიღწეულით კმაყოფილი ვარ, რადგან ტურნირის დამსწრე სპეციალისტებმა ჩვენი ბიჭების ფიზიკური და ტექნიკური მომზადების დონეს მაღალი შეფასება მისცეს.

**ლაშა დიდია**

უნივერსალური საბრძოლო სპორტი

# „ოქროს უბნის“ „ოქროები“

**საქართველოს უნივერსალური საბრძოლო სპორტის ფედერაცია (პრეზიდენტი სოსო დოლიძე) წლის განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს, რომლებშიც, ტრადიციულად, წარმატებით ასპარეზობენ ქართველები.**



ასე იყო დეკემბრის მიწურულსაც: დკდ-ს კლუბში გამართულ კავკასიისა და ევროპის კონტინენტის სამხრეთი ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრებაში საქართველოს, ირანის, თურქეთის, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 10 კლუბის 80 სპორტსმენი იბრძოდა ორ ასაკში საპრიზო ადგილებისთვის. განსაკუთრებით თბილისის „ოქროს უბნის“ კლუბის (მწვრთნელები — ალექსანდრე ჭყონია, რაფაელ კაზარიანი, გიორგი ჯავახია) წევრებმა იყოჩაღეს, რომლებმაც გუნდურში ერევნელთა შემდეგ მე-2 ადგილი დაიკავეს. მესამეზე ირანელები გავიდნენ. ოქროს მედლები მოიპოვეს დავით არაგი-ისმაილოვმა (25 კგ), სოსო ოქროპირიძემ (50), დავით თეგეტაშვილმა (55) და დაჩი ჩაჩანიძემ (60), ხოლო ძმები - ნიკა (35) და ლუკა ცეცხლაძეები (45) ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. საგულისხმოა, რომ სამი ჩემპიონიდან ორი 116-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა.

**გივი გაგუა**

თაობები იამაყებენ

# ქართული ფეხბურთის პატრიარქი

**ძალიან ცოტა თუ დარჩა ჩვენში სტაჟიანი გულშემატკივარი, რომელსაც ახსოვს სამამულო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე გამორჩეული პიროვნებისა და მწვრთნელის ანდრო ჟორდანიას სახელი, დღესაც რომ სამართლიანად ითვლება ქართული ფეხბურთის პატრიარქად. იგი დაიბადა 1904 წლის 29 დეკემბერს ესტონეთის ქალაქ ტარტუში.**

1921 წლიდან ანდრო ჟორდანია თამაშობდა დედაქალაქის ფეხბურთელთა გუნდებში, ხოლო 1925 წლიდან ახლად ჩამოყალიბებულ თბილისის „დინამოში“ 16 სეზონი გაატარა. ფეხბურთისადმი მისი სიყვარული მხოლოდ თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „სპარტაკთან“ იყო დაკავშირებული. მიუხედავად მრავალგზის წყენინებისა, იგი გამორჩეულად უყვარდათ გულშემატკივრებს და ფეხბურთელებს. მისი მწვრთნელობის დროს ნათამაშევ ფეხბურთელებს ბევრჯერ აქვთ ნათქვამი, რომ არა ანდრო ჟორდანია, დავიკარგებოდითო. მიუხედავად ასეთი წარმატებული საქმიანობისა, მას ხშირად უწევდა თბილისიდან ივანოვოში სამუშაოდ გაქცევა. 1933 წლიდან იგი ჯერ თამაშობდა, ხოლო დიდი სამამულო ომის დაწყებამდე წვრთნიდა ამ ქალაქის გუნდს. ანდრო ჟორდანია მშობლიურ თბილისს 1945 წელს დაუბრუნდა, მაგრამ 1951 წელს იძულებული გახდა კვლავ ივანოვოში ეძია თავშესაფარი. ალღოიანი მწვრთნელი გახლდათ. იგი თითქმის არაფრით გამორჩეულ ბავშვებში ვარსკვლავებს ამოიცნობდა ხოლმე. მისი აღმოჩენილი ფეხბურთელები ყოველთვის თამაშობდნენ მსოფლიო დონის ფეხბურთს: გივი ჩოხელი, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, გურამ ცხოვრებოვი, ვლადიმერ ბარქაია, შოთა იამანიძე, და მურთაზ ხურცილავა. მათი საფეხბურთო კარიერა ამის დასტური გახლდათ. 1964 წელს, ქართული ფეხბურთის ზეობის პერიოდში, ტაშკენტში თბილისის „დინამოს“ ჩემპიონის ტიტულის პარალელურად ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით ქუთაისის „ტორპედომ“ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ოთხთა ტურნირის ფინალურ მაჩტში 4:2 დაამარცხა გორკის (ახლანდელი ნიჟნი ნოვგოროდის) „ვოლგა“

მინდა მის მიერ კიდევ ერთ ქალაქში გატარებულ სამწვრთნელო სეზონზე გავამახვილო ყურადღება. 60-იანი წლების დასაწყისში იგი სამუშაოდ ტყიბულის „მეშახტეში“ მიიწვიეს, რომელიც იმ ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ უიმედო მე-17ე ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო მეორე წრე პირველ ადგილზე დაამთავრა. განა შეიძლება იმის თქმა, რომ ეს სასწაული არ არის?

ასეთი შედეგის დადებამ ხოლოდ დიდ სპეციალისტებს შეუძლიათ.

იგი არასოდეს ფიქრობდა დიდებასა და სახელზე, არ უყვარდა, როცა მის დამსახურებაზე ლაპარაკობდნენ. გაურბოდა ჟურნალისტებთან საუბარს და ცდილობდა თავისი გაკეთებული საქმის ჩრდილში ყოფილიყო. როცა მთელი ქართველი საზოგადოება მისი 70 წლის იუბილის აღსანიშნავად ემზადებოდა, 1973 წლის 25 აპრილს უხმოდ წავიდა ჩვენგან კაცი, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა ქართული ფეხბურთის განვითარებისა და წარმატებისათვის. წავიდა ისე, რომ კუთვნილი სამადლობელი სიტყვა არ მოუსმენია. გულწრფელი და ცრემლიანი იყო გამოსათხოვარი სიტყვები, მაგრამ ყველაფერი ეს ნაგვიანევი გახლდათ — სულხან-საბა ორბელიანის არაკისა არ იყოს, უკან მიდევნებული ლამპარივით. თაობებმა უნდა იცოდნენ, ვინ იყო ანდრო ჟორდანია. ვფიქრობ, ასეთი პიროვნების სახელი სამშობლოში მეტ დაფასებას და სიყვარულს იმსახურებს.

სახელოვანი მწვრთნელი ელემენტარულ აღიარებას საკმაოდ დიდხანს ელოდა და მხოლოდ ამ ორიოდე წლის წინათ გაიხსნა მისი მემორიალური დაფა. მადლობა მათ, ვინც ამ საშვილიშვილო საქმის შესრულებაში მიიღეს მონაწილეობა, ხოლო ანდრო ჟორდანიას გამოთქმულ ძარღვიან ფრაზას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა: „ვიზრუნოთ ქართული ფეხბურთის გადარჩენისათვის და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ მომავალი წარსულის გახსენების გარეშე არ არსებობს“.

**ბეჟან ჩხეიძე**



**მარცხნიდან:** მიხეილ ჯოჯუა, ავთანდილ ღოღობერიძე, ალიოშა კოტრიკაძე, კარლო გაგნიძე და ანდრო ჟორდანია

# თამაზ ცომაია



6 იანვარს მოსკოვში მეუღლის გვერდით დაკრძალეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის წარმომადგენელი და ქართული სათვისტომოს გამორჩეული პიროვნება, ტრაგიკულად დაღუპული ჩვენი თანამემამულე თამაზ ცომაია.

თამაზ ცომაიამ 1966 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაირიცხა ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო-ფიზიკის ფაკულტეტზე და დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქარხანა „მიონში“ ინჟინრად. ოჯახი მოსკოვში შექმნა, მუშაობა გააგრძელა ელექტროტექნიკურ სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. არასოდეს გაუწყვეტია კავშირი სამშობლოსთან. ყოველთვის ერთგული მეგობარი, ჭირსა და ლხინში მოყვასის გვერდში მდგომი, ქველმოქმედი პიროვნება საქართველოს სახელს წარმოადგენდა უცხოეთში. როდესაც მოსკოვში მცხოვრებმა მისმა ვაჟმა ოჯახი შექმნა და ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერა, უბედნიერესად გრძნობდა თავს, თავადაც სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობდა, წინასაახალწლოდ განცხადებაც კი შეიტანა საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე.

წარმოუდგენელია ჩვენთვის, მისი სამეგობროსთვის, ამგვარი უახლოესი, ერუდირებული და უკეთილშობილესი ადამიანის დაკარგვა.

ძალიან დაგვაკლდები, თამაზ!

მეგობრების სახელით:

**მალხაზ დოლიძე, რომან ძიძოძე, სოსო გვაზავა, ნინო მეგრელიშვილი, იოსებ ცისკარიშვილი, სოსო ჯანეზაშვილი, გოგი ჭონიშვილი, მარინა ლეთოდიანი, მზია ფანჩვიძე, გივი დარბაიძე, ოთარ ხარატიშვილი, ბადრი დარჩია, რამაზ ქანთარია, გულნარა მეზურნიშვილი, სერგო ბეკურაშვილი, ბესო ბერიძე.**



ვერის ბაღის გულშემატკივართა კლუბის წევრები მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის, გამოჩენილი მხატვრის

## ელგუჯა ბერძენიშვილის

გარდაცვალებას.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი გაზეთის ერთგული მეგობარი და ავტორი, უკეთილშობილესი და ღირსეული მოქალაქე-მამულიშვილი

## გივი ლომინაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# როგორ უნდა გაზარდოთ ფინანსები 2019 წელს?

**იმედი** გვაქვს, რომ 2018 წელი ჩვენი მკითხველისთვის ფინანსური თვალსაზრისით კარგი წელი იყო, მაგრამ გულახდილები რომ ვიყოთ, უნდა ვთქვათ, რომ ფული არასდროსაა საკმარისი და ფინანსური სტაბილურობისთვის ყოველთვის საჭიროა დამატებით ფული.

ვნახოთ, ფინანსების ექსპერტებისგან 3 რჩევა, რომლებიც ფინანსების გაზრდასა და ფინანსურ სტაბილურობას გვპირდებიან.



1. **ახალი წლის დაწყებისთანავე დაიწყეთ ფულის შეგროვება** — იანვარი შესანიშნავი დროა ფულის შეგროვების დასაწყებად. ყოველდღე მიზერული თანხაც რომ დაზოგოთ, დროთა განმავლობაში ის მნიშვნელოვანი რაოდენობის თანხად გადაიქცევა. გექნებათ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდა. როცა იცი, რომ დანაზოგი გაქვს, არაფერი გაშინებს.

2. **დამატებითი შემოსავალი** — მაგალითად, თუ ხართ სახლის მფლობელი, თქვენ შეგიძლიათ, ერთი ოთახი მაინც გააქირავოთ და ამით დამატებითი შემოსავალი მიიღოთ. მიღებული ფულით კი დანაზოგი გააკეთოთ. არაუშავს თუკი შედარებით ვიწროდ იგრძნობთ თავს, სამაგიეროდ თქვენს შემოსავალს მნიშვნელოვნად გაზრდით.

3. **გადახედეთ თქვენს საბანკო ანგარიშებს** — აუცილებლად უნდა იცოდეთ რამდენად დაბალანსებულია ხარჯი და შემოსავალი. ხშირად სწორედ ჩვენი უყურადღებობის გამო აღმოვჩნდებით ხოლმე რთულ სიტუაციაში. ამიტომ, აკონტროლეთ ხარჯები და ეცადეთ, რომ ის ნაკლები იყოს შემოსავალზე. თუ ასე არ არის, შეამცირეთ ხარჯები, თავი აარიდეთ უსარგებლო ნივთების ყიდვას. ნუ გადაიხდით ფულს ისეთ რაღაცებში, რასაც არასოდეს გამოიყენებთ.

## მკვდარი ცხენი და დაზიანებული ავტომობილები

ბაღდათი-ქუთაისის გზაზე, ვარციხეს დასახლებაში ავტომანქანა ცხენს დაეჯახა.

შეჯახებამ გზაზე მოძრავი ოთხი ავტომანქანაც დააზიანა. შეჯახების შედეგად ცხენი მოკვდა. ავტომანქანებში მყოფი პირები არ დაშავებულან. ცხენის პატრონი კი, იმის გამო, რომ ცხოველი ცენტრალურ მაგისტრალზე გადაადგილდებოდა, დაჯარიმდება.

## სისხლიანი დაპირისპირება რუსთავში

**რუსთავში**, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სკვერში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდებს შორის დაწყებული შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც ერთ-ერთმა ახალგაზრდამ მეორეს დანა ბარძაყის არეში დაარტყა. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები. დაჭრილი ახალგაზრდა კლინიკაში გადაიყვანეს მას შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია.

## ხანძარი ჩუმლაყში

**გურჯაანის** მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყში ხანძრის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ბენზინით ღუმელის ანთებას ცდილობდა, რა დროსაც სახლში ხანძარი გაჩნდა.

მამაკაცი სასწრაფო დახმარების ჯგუფმა გურჯაანის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსა. შემთხვევის შედეგად დაიწვა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ოთახის ავეჯი. ასევე დაიწვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი.

მედიკო და ელიზბარ ლომინაძეები ოჯახით იუწყებიან საზოგადოების ღირსეული წევრის

## გივი ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეები ოჯახით გულისტკივილით იუწყებიან ღირსეული პიროვნული თვისებებით გამორჩეული კაცის

## გივი ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ უდიდეს მწუხარებაში მყოფ ოჯახსა და ახლობლებს.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის წევრი 1992-2004 წლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ომის შემდგომ წლებში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, საქართველოს დამსახურებული იურისტი, პოლიციის გენერალი, აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების პროცესების აქტიური მონაწილე, ვახტანგ გორგასლის II-ე ხარისხის და ღირსების ორდენების კავალერი

## გივი ლომინაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 8, 9 იანვარს, 16 საათიდან.
მის. თბილისი, ბროლოსანის 31, II სადარბაზო, ბინა 15, (წმ. ივლიტას და კვირიკეს ეკლესიის გვერდით — პეკინის გამზირი).
გამოსვენება 10 იანვარს 15 სთ-ზე, სიონის ეკლესიიდან.

ქართველმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა.
79 ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე

## გივი ლომინაძე

ყველგან, სადაც კი იმუშავა ამ კეთილშობილმა პიროვნებამ, იყო რა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციათა დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მეთაურის რწმუნებული თუ სახელმწიფო მინისტრი დასავლეთ საქართველოში, ყველგან თავისი ღირსეული კვალი და სახელი დატოვა. ბატონი გივი სამჯერ იყო არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად. გახლდათ პოლიციის გენერალ-მაიორი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი.

ვწუხვართ, რომ ბატონი გივი ასე მოულოდნელად გამოეცალა თავის ოჯახს, სანათესაოს და სამეგობროს. გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ იმათ და ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს ჩვენი დიდი მეგობრის, ბატონი გივის სული.

**ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, იური გუგუჩია, ზურაბ გოგოხია**

უახლოესი მეგობრები **ნოდარ ჭითანავა, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ვაჟა აბაკელია, გია მეფარიშვილი, ოთარ ჭითანავა, ლერი ჭითანავა, ზურაბ გოგოხია** და **ვაჟა ფიფია** ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, უკეთილშობილესი პიროვნების

## გივი ლომინაძის

გარდაცვალებას, უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახსა და სანათესაოს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. გივი ლომინაძის სახით სამშობლომ დაკარგა ერთგული, პატიოსანი და პროფესიონალი ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით ილვწოდა საქართველოს გაერთიანებისა და სიმტკიცისათვის.



# 5 სუბსტანცია – ყველაზე დიდი დამოკიდებულება

**რომელი ნივთიერება იწვევს ყველაზე დიდ დამოკიდებულებას?** სხვადასხვა მკვლევარის მოსაზრებით, ნარკოტიკზე დამოკიდებულების ხარისხი შესაძლოა შეფასდეს იმ ზიანით, რასაც ის იწვევს; ასევე ტვინის რომელი სფეროს გააქტიურებას იწვევს ესა თუ ის ნარკოტიკი და რომელ სფეროზე მოქმედებს ყველაზე მეტად; რა ფასად იყიდება ის ქუჩაში; რამდენად სასიამოვნოდ ახასიათებენ ადამიანები ნარკოტიკს, რომელსაც მოიხმარენ; და ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი – რამდენად სწრაფად ხდებიან ამა თუ იმ ნარკოტიკზე დამოკიდებულები. CNN-მა სპეციალისტებზე დაყრდნობით 5 ნივთიერება დაასახელა, რომელიც ადამიანებში ყველაზე მეტად იწვევს დამოკიდებულებას.

საბოლოოდ, დასახელდა 5 სუბსტანცია, რომელიც ადამიანებში განსაკუთრებულ (ნარკოტიკულ) დამოკიდებულებას იწვევს. ესენია: **ჰეროინი, კოკაინი, ნიკოტინი, ბარბიტურატები, ალკოჰოლი**.

# ნადირობისთვის 200 ათასი დოლარი გადაიხადეს



**საუდის არაბეთის, არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და კატარის სამეფო ოჯახის წევრებმა პაკისტანში ნადირობისათვის 200 ათასი დოლარი გადაიხადეს. რეალურად, პრინცებმა აღნიშული თანხა პაკისტანში ნადირობისათვის საჭირო ნებართვის მოპოვებისათვის გადაიხადეს.**

ამიერიდან სამეფო ოჯახების წარმომადგენლებს შეუძლიათ პაკისტანის პროვინცია პენჯაბში გარკვეულ ტერიტორიებზე ინადირონ. ნებართვა 10-დღიანია და ნოემბრიდან თებერვლამდე პერიოდს მოიცავს და მის ფარგლებში პრინცებს 100 ფრინველის მოკვლა შეუძლიათ. თუმცა თუ მათი ნადირობა 10 დღეზე მეტს გასტანს, მაშინ მათ დამატებით 100 ათასი დოლარის გადახდა მოუწევთ. ნადირობის ნებართვის გაცემიდან შემოსული თანხა კი მთლიანად პენჯაბში იქნება ინვესტირებული, უფრო კონკრეტულად კი თანხა ფრინველთა გარკვეული სახეობის გადარჩენისათვის დაიხარჯება.

# ოსკაროსანს ბრალი წაუყენეს

**ოსკაროსან ამერიკელ კინომსახიობს კევინ სპეისის სექსუალურ შევიწროებაში ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. მასაჩუსეტსის შტატის კუნძულ ნანტაკეტის სასამართლომ გადაწყვეტილება 7 იანვარს მიიღო.**



სპეისის ყოფილი ტელეწამყვანი ჰიზერ ანრუ მისი 18 წლის ვაჟის სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს. ანრუს მტკიცებით, შემთხვევა 2016 წელს მოხდა კუნძულ ნანტაკეტის ერთ-ერთ ბარში, თუმცა, მისმა შვილმა ეს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაამხილა. კევინ სპეისი ბრალდებას უარყოფს. მისმა ადვოკატმა მოსამართლეს სთხოვა საქმეს დაურთოს სპეისის მობილურ ტელეფონში დაცული ინფორმაცია, რომელიც დაცვის მხარის შეფასებით, კინომსახიობს გაამართლებს. კევინ სპეისის სასამართლო პროცესი 4 მარტს გაგრძელდება.

# ქვეყნები, საიდანაც საქართველოს ყველაზე ცოტა მოგზაური სტუმრობდა

**2018 წელს ყველაზე მცირე რაოდენობის საერთაშორისო მოგზაურები საქართველოს 4 ქვეყნიდან სტუმრობდა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს 2018 წელს ვანუატუდან, საფრანგეთის გვიანადან, პაპუა-ახალი გვინეადან და სოლომონის კუნძულებიდან თითო-თითო ვიზიტორი ეწვა.**

აღსანიშნავია, რომ ანტილიას, ვირჯინიის კუნძულები აშშ-ის, კაიმანის კუნძულების, ნიდერლანდი ატილების, პუერტო რიკოს, ამერიკის სამოას, ველისი და ფუტუნას, მარშალის კუნძულების, საფრანგეთის პოლინეზიას, ტუვალუს, მაიოტასა და რეუნიონის მოქალაქეები 2018 წელს საქართველოს ტურისტული პოტენციალით არ დაინტერესებულან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტუვალუდან 2017 წელს საქართველოს 50 ვიზიტორი სტუმრობდა, რაც შეეხება რეუნიონს, 2017 წელს ამ ქვეყნიდან საქართველომ 10 ტურისტი მიიღო, მაშინ როდესაც 2018 წელს ეს მაჩვენებელი 0-ის ტოლი იყო. ასევე ვირჯინიის კუნძულები აშშ-დან საქართველომ 2017 წელს 7 ტურისტი მიიღო, ხოლო ამერიკის სამოადან – 36.



გთავაზობთ ქვეყნების ჩამონათვალს, საიდანაც 2018 წელს საქართველოს მხოლოდ ათამდე საერთაშორისო მოგზაური ჰყავდა:

**ვანუატუ 1 (2); საფრანგეთის გვიანა 1 (4); პაპუა-ახალი გვინეა 1 (4);სოლომონის კუნძულები 1 (16); პალაუ 3 (2); სენტ ვინსენტი გრენადინები 4 (0); გვინეა-ბისაუ 4 (8); კაბო-ვერდე 4 (4); ჩადი 5 (14); გრენადა 6 (11); სამოა 6 (17); ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები 6 (5); სენტ-ლუსია 7 (2); ნაური 7 (0); ბელიზი 8 (17); მონაკო 9 (8); სან-ტომე და პრინსიპი 9 (3); შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემულია 2017 წლის მაჩვენებლები.**

# ვინ გარდაიცვლება წელს

## ანუ THE DEATHLIST 2019

**„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება The DeathList 2019-ში" – მართალია, ყოველი წლის დასაწყისში აღნიშნული სია ბევრ ადამიანს ნერვებს უშლის და აღიზიანებს, მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ის „მუშაობს". ასე მაგალითად – გასული წლის 50-კაციანი სიიდან 12 ადამიანი გარდაიცვალა – „მკვდართა სიაში" 2018 წელს შესულები იყვნენ – ჯონ მაკკეინი, სტენ ლი, ჯორჯ ბუში უფროსი, შარლ აზნაური, ბარბარა ბუში და 76 წლის სტივენ ჰოკინგიც. რა თქმა უნდა, გასულ წელს სიის ლიდერი კვლავ 102 წლის მსახიობი კირკ დუგლასი გახლდათ.**

ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ „მკვდართა სიას" 2019 წელს კვლავ დუგლასი ლიდერობს, მაგრამ ის ახლა უკვე 103 წლისაა და აღნიშნულ სიაში უკვე მეჩვიდმეტედ არის შეყვანილი.

**სიაში ასევე არიან ედინბურგის 98 წლის ჰერცოგი პრინცი ფილიპი, აშშ-ის პრეზიდენტი 95 წლის ჯიმი კარტერი, 97 წლის დიზაინერი პიერ კარდენი, 97 წლის მსახიობი ბეტი ვაითი, ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი 91 წლის ჰოსნი მუბარაქი, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი 88 წლის მიხაილ გორბაჩოვი, შოუმენი 86 წლის ლარი კინგი, 80 წლის მომღერალი თინა ტერნერი და კიდევ 41 ადამიანი.**

**რეკორდული მაჩვენებელი აღნიშნულმა სიამ 2017 წელს დადო – 50 ადამიანიდან 17 გარდაიცვალა. კირკ დუგლასი, რა თქმა უნდა, 2017 წელსაც იყო სიაში, 2016 წელსაც, 2015 წელსაც, 2014 წელსაც და ა.შ.**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6744; ევრო - 3.0491;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3895
100 რუბლი - 3.9241; თურქული ლირა - 0.4941;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5734;
1000 სომხური დრამი - 5.5199.

**ამინდი 9 იანვრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -3, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -85, | დღე +3 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +4, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -3, | დღე +2 |
| თბილისი: | ღამე +1, | დღე +5 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge